ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 19 – 20 დეკემბერი, 2015 №298 (6918) ფასი: 50 თეთრი

## ტურის ეპიცენტრი ლონდონშია

ევროპული უიკ ენდის მოლოდინში



გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.12 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 19.12 | ბეტისი-სევილია | 3.6 | 3.75 | 1.95 |
| 19.12 | ჰამბურგი-აუგსბურგი | 2.25 | 3.2 | 3.1 |
| 19.12 | კაენი-პსჟ | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 19.12 | ბასტია-რეიმსი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 20.12 | არსენალი-სიტი | 2.5 | 3.4 | 2.75 |
| 20.12 | მალაგა-ატლეტიკო | 5.5 | 3.25 | 1.75 |
| 20.12 | ჰერტა-მაინცი | 2.15 | 3.25 | 3.25 |
| 20.12 | ფროზინონე-მილანი | 4.75 | 3.6 | 1.75 |
| 20.12 | ინტერი-ლაციო | 1.75 | 3.6 | 4.75 |

# ევროპაში უვიზოდ ვიმოგზაურებთ



გვ.5

მთავრობის ადმინისტრაცია, თბილისის ანძა, ქუთაისის თეატრი, კოშკი მესტიაში, ევროკავშირის დროშის ფერებში განათდა



## „რუსეთმა შეიძლება შეაჩეროს სოხუმის და ცხინვალის აღიარება"

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „რუსეთთან ყინულის ლღობა დაიწყო"

გვ.7



## „ქართულ ოცნებას" მხოლოდ პრემიის და ქრთამის აღება შეუძლია"

კრწანისის გამგებლის მოადგილე 50.000 დოლარი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს

გვ.3



## გიორგი კანდელაკი: „ქართულ ოცნებას" ქართველმა ხალხმა განაჩენი უკვე გამოუტანა"

გიგა ბუკიამ და კობა სუბელიანმა კინაღამ ერთმანეთს დაარტყეს

გვ.2



## ვახტანგ ძაბირაძე: „თუ რუსეთი ვიზებს გააუქმებს, ხელისუფლებას ეს აქტივში ჩაეთვლება"

გვ.5






## „ქართული ოცნების" უპირატესობა მცირე იქნება"

გვ.4



რამაზ საყვარელიძე ახალ ლიდერებს არ ელოდება

## მამუკა გიორგაძე: „პუტინმა გაახსენა საქართველოს კონფედერაციის ძველი იდეა"

გვ. 4

„რუსეთს არ უნდა კავკასიონის სამხრეთით ძლიერი და ერთიანი სახელმწიფოს არსებობა"



ISSN 1987-9385

# გიორგი კანდელაკი: „ქართულ ოცნებას“ ქართველმა ხალხმა განაჩენი უკვე გამოუტანა“

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, ასე თუ ისე, მონოლების სიმაღლეზეა. ჩვენმა კანონმდებლებმა კვირის დამლევს კიდევ ერთხელ იჩხუბეს. მართალია, უკრაინის რადასთან შედარებით, ეს მხოლოდ ფუნჩალი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ბიჭებმა მოინდომეს და ნუ დავუკარგავთ ამას.**



მანდატურები რომ არ ჩარეულიყვნენ, ალბათ, ცემა-ტყეპაც იქნებოდა, მაგრამ ესენი, როგორც წესი, უდროო დროს გამოჩნდებიან ხოლმე.

დაპირისპირება საარჩევნო კოდექსის გარშემო დაიწყო.

ნაციონალებმა მეოცნებეებს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები კიდევ ერთხელ დაუგმეს. დეპუტატ კობა სუბელიანის განმარტებით, „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში რომ ყოფილიყო, ამ ცვლილებებს მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერდა.

ცვლილებების პროექტი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების შეცვლას, ცალკეული ოლქების გაერთიანებასა და ცალკეული ოლქების დაყოფას ითვალისწინებს.

ეს ცვლილება ნაციონალებიდან ყველაზე მწვავედ გულზე კობა სუბელიანს მოხვდა. მისი თქმით, მეოცნებეებს კოდექსში ცვლილებები არჩევნების მოსაგებად შეაქვთ.

– როგორ წარმოგიდგენიათ, ამბროლაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა მესტიის მოსახლეობას როგორ უნდა მიაქციოს ყურადღება?! ამ ორ რაიონს ერთმანეთთან დაახლოებით 400-500 კილომეტრი აშორებს. გასაგებია, რომ ეს არჩევნების მოსაგებად კეთდება, მაგრამ რეალობა არის ის, რომ ამბროლაურის ან ონის დეპუტატი მესტიის მოსახლეობას როგორ მოემსახურება, ან მესტიის დეპუტატი ცაგერის მოსახლეობას როგორ მოემსახურება?! ეს ხომ არის ის, რასაც თქვენ ოპოზიციაში რომ ყოფილიყავით, არასოდეს მხარს არ დაუჭერდით, – მიმართა მეოცნებეებს სუბელიანმა.

მან ისიც კი წარმოიდგინა, რა ტექსტებით გააპროტესტებდა „ქართული ოცნება“ ამ კოდექსს ოპოზიციაში ყოფნის შემთხვევაში.

სუბელიანმა კოლეგებს მწყაზარი სახეებიც დაუწუნა.

– ზუსტად მაქვს წარმოდგენილი, როგორ გამოხვიდოდით სიტყვით და რეებს ილაპარაკებდით, რომ აი, ხალხი უნდათ გადაჰკიდონ ერთმანეთს, იმ რაიონის ხალხი ამ რაიონის ხალხს დაუპირისპირდეს. ისეთ აპოკალიფსს დახატავდით, რომ შეაძულებდით ადამიანს ყველაფერს. ახლა ასე წყნარი სახით მაჯერებთ, რომ მესტიას უნდა მოემსახუროს არჩეული ადამიანი, რომელიც ასევე ონში ჩავა და ონის მოსახლეობის პრობლემებით დაკავდება, შემდეგ ჩამოივლის ამბროლაურში, ცაგერში. რა სისულელეა ეს, რა არის საერთოდ, – ჩააჯინდა ნაციონალი მეოცნებეებს.

სუბელიანის მგზნებარე გამოსვლა გიგა ბუკიამ არანაკლები მგზნებარებით გააპროტესტა, რასაც სხდომათა დარბაზში დეპუტატებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. ბუკიამ და სუბელიანმა ერთმანეთზეც გაიწიეს, მაგრამ მანდატურები მათ შორის ბერლინის კედელივით აღიმართნენ და ჩხუბიც დასრულდა.

მართალია, ჩხუბი არ შედგა, მაგრამ ცვლილებებისა და ხელისუფლე-



## გიგა ბუკიამ და კობა სუბელიანმა კინაღამ ერთმანეთს დაარტყეს

ბის გმობა გაგრძელდა.

ცვლილებების თანახმად, ქვეყანაში 38-ის ნაცვლად 22 მაჟორიტარული ოლქი იქნება.

ნაციონალებმა განაცხადეს, რომ ამ ცვლილებებს მხარს არ დაუჭერენ.

მათი მტკიცებით, „ქართული ოცნება“ მომავალი არჩევნების მოსაგებად ყველაფერს კადრულობს.

ნაციონალმა გიორგი კანდელაკმა თავი ვალდებულად ჩათვალა, მეოცნებეებისთვის ჭეშმარიტ პოლიტიკაზე ექადაგა.

მისი მტკიცებით, „ქართულ ოცნებას“ ქართველმა ხალხმა განაჩენი უკვე გამოუტანა. კანდელაკის შეფასებითვე, ხელისუფლების ინიცირებული ცვლილებები ანტიეროვნული და არადემოკრატიულია.

– ბიძინა ივანიშვილსა და მის გუნდს კარგად ესმის, თუ რა განაჩენი გამოუტანა მათ გამწარებულმა ხალხმა. კარგად იციან, რომ მარცხი გარდაუვალია. საარჩევნო ოლქების ჭრაკერვით, სხვადასხვა რაიონის ხელოვნური მიერთებითა და დაშორებით ივანიშვილს უნდა, 2016 წლის არჩევნებზეც რაღაცნაირად გაძვრეს და ხელისუფლებაში დარჩეს, რათა გააგრძელოს ყველაფერი ის, რასაც ამ დროის განმავლობაში აკეთებდა – ზღვარგადასული კორუფცია, ნეპოტიზმი, ბიუროკრატიაზე ბიუჯეტის ხარჯვა, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

ის ფიქრობს, რომ ეს კანონპროექტი ამ ყველაფრის გასაგრძელებლადაა შემოტანილი.

– თუმცა გარწმუნებთ, რომ როგორი სისტემაც არ უნდა შეთხზათ, არაფერი „ქართულ ოცნებას“ არ ეშველება – მას განაჩენი ქართველმა ხალხმა უკვე გამოუტანა და ეს, ნებისმიერი საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, მომდევნო წელს გაფორმდება, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

ნაციონალების გაცხარებას ახსნა-განმარტებები მეოცნებე რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა მოუძებნა.

მისი თქმით, მაჟორიტართა არჩევის 50%-იანი ბარიერის შემოღება ნაციონალური მოძრაობის ინტერესებში არ შედის. მისი თქმით, ბარიერის აწევას ბევრი მეორე ტური მოჰყვება, სადაც ყოფილი ხელისუფლება დამარცხდება.

– მერები და გამგებლები პირდაპირი გზით 50%-ით ირჩევიან. თვითმმართველობის შემდეგ გაუმჯობესებისკენ მორიგი ნაბიჯი გადავდგით და შემოგვაქვს მაჟორიტართა არჩევის 50%-იანი ბარიერი. ძალიან ბევრი მეორე ტური იქნება. ასეთ ვითარებაში, ნებისმიერ კანდიდატს პირველ ან მეორე ტურში არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობის ხმები დასჭირდება, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

მანვე ნაციონალები მარი ლე პენს შეადარა და მისი პოლიტიკური ბედიღბალი უწინასწარმეტყველა.

– ნაციონალური მოძრაობისთვის 50%-იანი ბარიერის დაწესება მნიშვნელოვანი რამ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ არის, იმიტომ, რომ ლე პენივით ხართ, რამდენ ხმასაც მიიღებთ პირველ ტურში, იმდენივეს მიიღებთ მეორე ტურში. რაც უნდა წარმატებული გქონდეთ შედეგები პირველ ტურში, ფრანგი ულტრამემარჯვენეების შედეგების შესაბამისად, მეორე ტურში, გინდა მამა ლე პენის, გინდა შვილი ლე პენის ვითარებაში, პოლიტიკური კეთროვნები ხართ, მეორე ტურში მიიღებთ იმდენივე ხმას და დაბალ პროცენტს, – მიაწყევლა უმცროსმა ბერძენიშვილმა ნაციონალები.

ყოფილი ხელისუფლების ჩაქოლვის შემდეგ მეოცნებე რესპუბლიკელმა აღნიშნა, რომ მაჟორიტართა არჩევის 50%-იანი ბარიერი და მეორე ტური სხვა ოპოზიციური პარტიებისთვის არის მნიშვნელოვანი.

# პატიმართა შეწყალების სკანდალში თინა ხიდაშელის გვარმაც გაიჟღერა



ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, ლევან მამალაძის განცხადებით, 2012 წელს ის პოლიტპატიმართა სიიდან, ფინანსურ გარიგებაზე უარის თქმის გამო ამოიღეს.

ამის შესახებ მამალაძემ დღეს რუსეთიდან სკაიპით გამართული პრესკონფერენციის დროს განაცხადა.

მისი განმარტებით, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას მხრიდან შუამავლების დახმარებით იყო მითითება გარკვეულ ფინანსურ გარიგებაზე, თუმცა მას შემდეგ რაც მან ამ გარიგებაზე უარი განაცხადა ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ის ამ სიაში ვერ მოხვდა.

ლევან მამალაძემ ამ პროცესის მონაწილედ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელიც დაასახელა.

**ლევან მამალაძე:**

– კერძოდ, ჩემზე იყო გარკვეული მინიშნებები, რომ იცით რაა, კომისიაში საკითხი იხილება, მაგრამ თქვენთან გარკვეული ურთიერთობა უნდათ.

მინიშნებები იყო მატერიალურ დაინტერესებაზე. როცა საკითხის გარკვევა დავიწყე, ბესელიას გარემოცვის მხრიდან მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ჩემი ამოღება მოხდა იმის გამო, რომ პირადად თინა ხიდაშელი ერეოდა საქმეში.

როგორც კი დაინახეს, რომ მატერიალურ სარგებელს ვერ მიიღებდნენ, პოლიტიკურ რაკურსში გადაიტანეს ეს თემატიკა.

მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ხიდაშელი მისული იყო ბიძინა ივანიშვილთან, მხოლოდ ცუდი ილაპარაკა ჩემზე და დააფიქსირა, რომ ჩემი სიაში შეყვანა არ შეიძლებოდა, რადგან ჩამოვიდოდი და პოლიტიკურ პროცესებში ხელს შევუშლიდი.

**ნიუსპრესი**

# „ქართველი სამართალდამცველები პანკისში ვითარებას აკონტროლებენ“

– ქართველი სამართალდამცველები პანკისში ვითარებას აკონტროლებენ ქართველი სამართალდამცავები პანკისში ვითარებას აკონტროლებენ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური სამსახურის უფროსმა ირაკლი ბერაიამ განუცხადა, რითაც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე ოსური დელეგაციის ხელმძღვანელის, დავით სანაკოევის მიერ გაკეთებული განცხადება უარყო.

– დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, – განაცხადა ირაკლი ბერაიამ.



ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის წლის ბოლო შეხვედრის დასრულების შემდეგ ოსური დელეგაციის ხელმძღვანელმა დავით სანაკოევმა განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების მობილიზაცია ხდება, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზას, იქ მყოფ მესაზღვრეებს საფრთხეს უქმნის.

მისივე მტკიცებით, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები გააქტიურებას და თავდასხმებს ახალი წლის დღეებში გეგმავენ, მათი სამიზნე კი რუსეთის მესაზღვრეები, საქართველოს სამართალდამცავები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორები არიან.

**ინტერპრესნიუსი**

# პაატა ზაქარეიშვილი: „რუსეთი არასერიოზული სალაპარაკოა, როდესაც ევროპაზე გვაქვს სასაუბრო“

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის შეფასებით, ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით ისტორიული დღეა და რუსეთზე საუბარი არასერიოზულია.

მან შესაბამისი განცხადება ჟურნალისტებთან საუბრისას მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

მედია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის განცხადებაზე მისი კომენტარით დაინტერესდა.

**პაატა ზაქარეიშვილი:**

– ცხოვრებაში ძალიან იშვიათად ვიყენებ სიტყვა „ისტორიულს

ვულოცავ მთელ ქართველ ერს, მთელ ნაციას ასეთ მნიშვნელოვან ისტორიულ გადაწყვეტილებას, რომ საქართველომ გადადგა სერიოზული ინსტიტუციური ნაბიჯი ევროპისაკენ. რუსეთი ამ წუთში არასერიოზული სალაპარაკოა, როდესაც ევროპაზე გვაქვს სასაუბრო.

ევროპამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ჩემთვის მილიონჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რამ ღონისძიება.



**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ პრემიის და ქრთამის აღება შეუძლია“



შორენა მარსაგიშვილი




**დედაქალაქის მერია ჯველა აგიძელებს ერის გაოცებას. ოიმოებს და არარსებულ ნახევარ მილიონ ხეს ისე მივეჩვიეთ, აღარ ვიმჩნევთ, მაგრამ ქრთამის აღების თემა საზოგადოებას გულგრილს ვერ დატოვებს.**

რამდენიმე დღის წინ მერიის თანამშრომელი დააკავეს ქრთამის აღების ფაქტზე. 17 დეკემბერს კი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე თბილისის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ნანა მაისურაძე დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის თქმით, ნანა მაისურაძემ გულუას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების აუქციონზე გატანაში, მასში გამარჯვებასა და მშენებლობისთვის საჭირო პროექტის დამტკიცებაში დახმარების სანაცვლოდ, მოქალაქისგან 50.000 აშშ დოლარი ქრთამის სახით აიღო.

გამგებლის მოადგილის დაკავების ფაქტს დედაქალაქის მერიაც გამოეხმაურა. ნარმანიას უწყებამ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

— ჩვენი ხელისუფლების პირობებში კორუფციას არ აქვს გაღვივების შესაძლებლობა და ჩანასახშივე ხდება მისი აღკვეთა. თბილისის მერია, უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად თანამშრომლობს და ხელს უწყობს გამოძიებას, ყველა იმ უპასუხისმგებლო და კანონის წინაშე არაკეთილსინდისიერი თანამშრომლის, მიუხედავად მის მიერ დაკავებული თანამდებობისა, გამოვლენასა და კანონის მთელი სიმკაცრით დასჯის პროცესში, — აცხადებენ მერიაში.

ეტყობა, ნარმანიას ბოლომდე არ აქვს თანამშრომლების იმედი და მათ თხოვნით მიმართავს, ნუ გამოიყენებენ სამსახურს ბოროტად.

— მოვუწოდებთ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს, ნუ გამოიყენებენ ბოროტად დაკავებულ თანამდებობებსა და უწყების სახელს, ასევე, ნუ შელახავენ მერიის სტრუქტურაში მომუშავე საჯარო მოსამსახურეების ღირსებასა და პატივს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც დედაქალაქის მთავრობის, ასევე საგამოძიებო უწყებების მხრიდან შესაბამისი, მკაცრი ზომები გატარდება, — ამბობენ ნარმანიას უწყებაში.

* * *

ამ ამბავმა „ქართული ოცნებაც“ აღაშფოთა, თუმცა ამჯერად ის მარტო ნარმანიაზე ვერ გადატეხს ჯოხს. საქმე ის გახლავთ, რომ ნანა მაისურაძე „ქართული ოცნების“ კრწანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეც იყო.

აქედან გამომდინარე, მეოცნებეებმა თავი მოვალედ ჩათვალეს, განმარტების მაგვარი განცხადება გაეკეთებინათ.

— პარტიისთვის მნიშვნელოვანია, აღნიშნულ საქმეზე დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. გამოძიების შეუფერხებლად წარმოების უზრუნველსაყოფად, ნანა მაისურაძეს შეუჩერდება თანამდებობრივი უფლებამოსილება გამოძიების დასრულებამდე, — აცხადებენ პარტიაში.

* * *

ნარმანიულ სკანდალს გამოხმაურება დედაქალაქის საკრებულოშიც მოჰყვა. საკრებულოს დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან ირაკლი აბესაძე მიიჩნევს, რომ ბოლო დღეების მოვლენები ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ ეფექტური მხოლოდ პრემიების და ქრთამის აღებაშია.

მეოცნებეთა მავნე მიდრეკილებებთან დაკავშირებით, ირაკლი აბესაძეს კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს.

— 10 დეკემბრის მდგომარეობით მერიას ბიუჯეტში აუთვისებელი ჰქონდა 145.000.000 ლარი. შარშან 42.000.000 მილიონიანი სეკვესტრის მიუხედავად, თბილისის ბიუჯეტში დაუხარჯავი დარჩა 68.000.000 ლარი. ანუ 2014 წლის ბიუჯეტში „ქართულმა ოცნებამ“ ვერ აითვისა 110.000.000 ლარი. წელსაც დაახლოებით იგივე ოდენობის თანხა რჩება აუთვისებელი, რაც ნიშნავს მოუგვარებელ პრობლემებს, მოუწესრიგებელ გზებს და დახმარების გარეშე დარჩენილ სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას, — აცხადებს დეპუტატი.

აბესაძის თქმით, ამ ფონზე მერიაში კვლავ მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ და ქრთამის აღების ჩამოყალიბებულ ტრადიციასაც უწყვეტად აგრძელებენ.

— 50.000 აშშ დოლარის ქრთამის სახით აღებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს კრწანისის გამგებლის გათავისუფლება და გამოძიების ბოლომდე მიყვანა, რომ გაირკვეს, იყო თუ არა დანაშაულებრივი კავშირები თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს თანამდებობის პირებთან, — მიიჩნევს აბესაძე.

საკრებულოს წევრის განცხადებით, „ქართული ოცნება“ რეალობას მოწყვეტილია და ამიტომ, მას რამის შეცვლის იმედი არა აქვს.

— სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ დღემდე ქრთამის აღება, შეუსრულებელი პროექტები, აუთვისებელი ბიუჯეტი, გაფლანგული თანხები, კორუფცია და ნეპოტიზმი ცალკეულ გამოვლინებად მიაჩნია და მას სისტემურ ცვლილებებს არ უპირისპირებს. ამიტომ არ ეშველებათ არასდროს და, სამწუხაროდ, მოსახლეობას კვლავ მოუწევს საკუთარ პრობლემებთან თავად გამკლავება ხელისუფლების უმოქმედობის გამო, — ამბობს საკრებულოს წევრი.

* * *

ნარმანიას კანტორის ამბებო 18 დეკემბერს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზეც განიხილეს.

მეოცნებეებს დედაქალაქის და მშობლიური პარტიის სახელით ქოქოლა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავქალმა სევდია უგრეხელიძემ დააყარა.

სევდია უგრეხელიძე აღშფოთებულია იმით, რომ დედაქალაქის მერიის სისტემაში ქრთამის აღების ფაქტებმა სისტემური ხასიათი მიიღო.

მისი განცხადებით, აუცილებელია, მერიამ შეიმუშაოს ანტიკორუფციული გეგმა, რათა გამოვლინდეს კორუფციის შემთხვევები და ეს უწყება არ აღმოჩნდეს კორუფციის ჭაობში.

— ერთეული ადამიანის დაჭერა გამოსავალი არ არის. კომუნისტების პერიოდში, როდესაც ხდებოდა კორუფციის ფაქტები, 100-დან 1 უპატრონოს იჭერდნენ. ეს ყველა ჩვენგანის საქმეა. კორუფციის სენი თუ არ იქნება აღკვეთილი, შესაძლოა, მერია კორუფციის ჭაობში აღმოჩნდეს, — აღნიშნა სევდია უგრეხელიძემ.

მის განცხადებას საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი გამოეხმაურა. მან მომხდარი ფაქტების გამო წუხილი გამოთქვა და განაცხადა, რომ ფაქტებს შესაბამისი რეაგირება აუცილებლად მოჰყვება.

მისი განცხადება საკმარისად არ მიიჩნიეს ნაციონალებმა და ნარმანიას უწყება რამდენიმეგზის შეაჩვენეს.

ამ შეჩვენების პროცესს თავიდან მშვიდად უყურებდა ვარკეთილის მაჟორიტარი ია მაკასარაშვილი. ბოლოს მას პარტიულმა წარმომავლობამ შეახსენა თავი და იამაც ნაციონალებს შეუტია.

— დააქციეთ ქვეყანა, მეორედ არ ახსენოთ „ქართული ოცნება“, — გამყინავი ხმით მიაკივლა მაკასარაშვილმა ნაციონალებს.

მაკასარაშვილი კია შემტევი ქალი, მაგრამ ნაციონალებს მამალი მგლის არ ეშინიათ და მისი კივილი როგორ დააფრთხობდა. ამიტომაც კიდევ გააგრძელეს მერიის გმობა. ამაში მათ ხელს ისიც უწყობდა, რომ მეოცნებეები ეფექტურად არ იცავდნენ თავს.

* * *

მომხდარით საკრებულოს უმრავლესობის წევრებიც აღშფოთებული არიან, თუმცა ხმამაღლა ნარმანიას კრიტიკას ერიდებიან. როგორც „ახალ თაობას“ ერთ-ერთმა დეპუტატმა განუცხადა, მათ სთხოვეს, რომ არჩეული მერის მიმართ პრეტენზიები ხმამაღლა არ გამოეთქვათ.

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, ნარმანიამ რამდენიმე თვეში თანამდებობა დატოვოს. როგორც ამბობენ, ის პოსტიდან „საკუთარი სურვილით“ წავა. ეს სადღაც ივნისში უნდა მოხდეს, თუ მანამდე მის დაქვემდებარებაში მყოფებმა მთლად სასწაულები არ ჩაიდინეს.

# გიორგი კვირიკაშვილი — საქართველო მიჩნეულია სანდო პარტნიორად ევროპისთვის



— საქართველო მიჩნეულია სანდო პარტნიორად ევროპისთვის ძალიან სასიხარულოა, რომ საქართველოს მიერ გატარებული რეფორმები მიჩნეული იქნა ძალიან წარმატებულად უამრავ სფეროში, — ასე აფასებს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ევროკომისიის დადებით დასკვნას საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ უამრავი საკანონმდებლო რეფორმა, ინსტიტუციონალური რეფორმები ჩატარდა.

შექმნილია ახალი სისტემები. საქართველოს როგორც იმიგრაციის, ასევე ემიგრაციის ინსტიტუციონალური საკანონმდებლო სისტემები არის აბსოლუტურად მობილიზებული.

ამასთან, სამართლებრივ სფეროში ჩატარდა უამრავი რეფორმა, მიგრაციის კუთხით გატარდა ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები, ყველაფერ ამის შედეგად საქართველო მიჩნეულ იქნა სანდო პარტნიორად ევროპისთვის, იმ კუთხით, რომ საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ გზა თავისუფალი გადაადგილებისთვის შენგენის ზონაში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა.

მინისტრის თქმით, ჩვენ კიდევ რამდენიმე თვე დაგვჭირდება იმისთვის, რომ მოვახდინოთ კონსოლიდაცია კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერისა, რათა პოლიტიკურ დონეზე უკვე ყველა ქვეყანამ მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რათა როგორც ევროსაბჭოში, ასევე ევროპარლამენტში მიღებული იქნას ის საჭირო მხარდაჭერა, რომელიც უკვე საბოლოო საკანონმდებლო ცვლილებას დაუდებს საფუძველს.

— საქართველოს ყველა მოქალაქეს ექნება თავისუფალი გადაადგილების უფლება ევროპის ყველა ქვეყანაში, — აღნიშნა მინისტრმა.

კითხვაზე, რას ნიშნავს უვიზო მიმოსვლა საქართველოსთვის, მინისტრმა განმარტა, რომ „თავისუფალი გადაადგილების უფლება ჩვენს მიერ განიხილება როგორც განუყოფელი ნაწილი ევროკავშირთან ერთად თანაცხოვრებისა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებისა, რომლის ეფექტიანობა წარმოუდგენელია იმის გარეშე, რომ საქართველოში მცირე მეწარმეებმა, ფერმერებმა შეძლონ თავისუფლად გამგზავრება ევროპაში, ახალი ტექნოლოგიების გაცნობა, მათი საქართველოში ჩამოტანა და დამკვიდრება და ა.შ. ეს არის ევროპული ოჯახის უკვე სრულუფლებიანი წევრობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის.

მას შემდეგ, რაც ევროპარლამენტი მიიღებს უკვე საერთო-საკანონმდებლო ცვლილებას, ნებისმიერი მოქალაქე საქართველოსი შეძლებს ევროკავშირში გამგზავრებას, ოღონდ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მუშაობის უფლებას.

ეს იქნება ჩვეულებრივი ტურისტული ვიზიტი, მაგრამ ხაზს ვუსვამ, ეს არ არის მუშაობის უფლება ევროკავშირში და არავითარი დამატებითი კონტროლი და დამატებითი დოკუმენტის აღება ამისთვის საჭირო არ იქნება.

ყველა ქვეყანას გააჩნია საკუთარი უსაფრთხოების სისტემა იმიგრაციისა, როგორც საქართველოში, მათ შორის, ისე ევროკავშირის ქვეყნებში შესვლის მომენტში ბაზებში მოწმდება ყველა მოქალაქე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ რაიმე დამატებითი დოკუმენტი დასჭირდებათ.

ევროკომისიამ დღეს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს შესახებ დადებითი რეკომენდაცია გამოაქვეყნა. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ რამდენიმე თვეში ქვეყანის მოქალაქეები შენგენის ზონებში უვიზოდ იმოგზაურებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# „გვეამაყება, რომ ჩვენი წვლილი გვაქვს შეტანილი ასეთ ისტორიულ პროცესში“

„თავისუფალი დემოკრატები“ ევროპასთან უვიზო მიმოსვლის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით ანგარიშს მიესალმება.

— ამით დასრულდა სამწლიანი დაძაბული მუშაობა და „თავისუფალ დემოკრატებს“ გვეამაყება, რომ ჩვენი წვლილი გვაქვს შეტანილი ასეთ მნიშვნელოვან, ისტორიულ პროცესში.

ევროპასთან უვიზო მიმოსვლა არის ის უდიდესი წინსვლა, რომლითაც საქართველო, საბოლოოდ სრულფასოვნად გახდება ევროპის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ გეოგრაფიული ნაწილი.

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, გადადგას ყველა ნაბიჯი ამ პროცესის დროულად დასრულებისა და აღებული ვალდებულებების სრულად შესასრულებლად.

„თავისუფალი დემოკრატები“ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა ქვეყანამ მიაღწიოს დასახულ მიზანს — გავხდეთ ევროკავშირის წევრი!

გვსურს მივულოცოთ მთლიანად საქართველოს მოსახლეობას და განსაკუთრებით ყველა იმ უწყების ასობით მოხელეს, რომელმაც განვლილი წლების მანძილზე უდიდესი შრომა და ძალისხმევა ჩადო ამ წარმატების მიღწევაში, — ნათქვამია პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ გავრცელბულ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2015, 19 — 20 დეკემბერი, №298

# „ქართული ოცნების“ უპირატესობა მცირე იქნება“

## რამაზ საყვარელიძე ახალ ლიდერებს არ ელოდება

ნონა ცაბაძე

**ექსპერტები საუბრობენ იმის თაობაზე, რომ საზოგადოებაში მესამე ძალის გამოჩენის მოთხოვნილება საკმაოდ დიდია, თუმცა პოლიტიკური ბაზარზე ასეთი ძალა ჯერ არ ჩანს.**

ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია მესამე და მეოთხე ძალის მოლოდინია.

— ყველა კვლევა საუბრობს იმის თაობაზე, რომ იკლებს ამომრჩევლის ნდობა მმართველი გუნდის მიმართ. შესაძლოა, ამ კვლევებს ნაკლებად ენდობა საზოგადოება, მაგრამ რეალურად ხელისუფლების რეიტინგმა დაიკლო, — აცხადებს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში.

მისი თქმით, საქმე არც ოპოზიციას აქვს სახარბიელოდ:

— თითქმის ყველა გამოკვლევაში 15%-მდეა ნაციონალების რეიტინგი და კიდევ უფრო ნაკლები — დანარჩენების. ამ ტიპის დამოკიდებულება აჩენს მესამე ძალის მოლოდინს და ეს მოლოდინი ჩვენც გვქონდა.



***— რისი მოლოდინი?***

— რომ პოლიტიკით დაინტერესებული ჯგუფები გაითვალისწინებდნენ ამ სიტუაციას და გააკეთებდნენ განაცხადს პოლიტიკური პარტიის შექმნასა და მერე ხელისუფლებაში მოსვლისთვის ბრძოლაზე. ჯერჯერობით ასეთი განაცხადი არ ჩანს, რაც ცოტა გასაკვირია. ვფიქრობდი, რომ ამ დროს გაცილებით დიდი აქტიურობა იქნებოდა.

***— კიევის ყოფილმა მერმა ხომ დააარსა „ბედნიერი საქართველო“? მისი პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ რას ფიქრობთ?***

— კიევის მერის შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში არა მგონია, რომ სერიოზული შედეგების მომტანი იყოს, ისეთის, რომელიც გავლენას იქონიებს პოლიტიკურ ბაზარზე.

***— რატომ?***

— როგორც აქედან წასულ ქართველებზე არ არის კარგი შეხედულების უკრაინელი ხალხი, ისე იქიდან წამოსულ უკრაინელებს არ შეხვდება აღფრთოვანებული ქართველი საზოგადოება. მეეჭვება, რომ მნიშვნელოვანი შედეგი აჩვენოს.

***— ამბობენ, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი დადებითად გადაწყდება. რამდენად დაეხმარება ეს „ოცნებას“ წინასაარჩევნოდ? ამით მოიგებენ ამომრჩევლის გულს?***

— ალბათ, გარკვეულ როლს შეასრულებს, განსაკუთრებით ევროპაზე ორიენტირებულ ამომრჩეველთან, იმ ამომრჩეველთანაც, რომლებსაც ევროპაზე ორიენტაცია აქვთ ბიზნეს და პროფესიული ინტერესებით, მაგრამ მეეჭვება, რომ ამან რეალური ცვლილება შეიტანოს. მოსახლეობა ძირითადად მაინც შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით ინტერესდება.

***— ჯერ არჩევნებამდე დროა და როგორ ფიქრობთ, მხოლოდ პაატა ბურჭულაძით შემოიფარგლება ახალი სახეები ქართულ პოლიტიკაში?***

— პაატა ბურჭულაძეს ჯერ არ უთქვამს, პოლიტიკაში მოვდივარო.

***— თუმცა ასე მონათლეს.***

— მონათვლა ბავშვის დაბადებას არ ნიშნავს. საერთოდ, ცოდოა, რომ ბავშვი დაბადებამდე მოინათლოს.

***— ანუ თქვენ არ ელოდებით გამოკვეთილ ლიდერებს?***

— ჯერჯერობით არა.

***— მაშინ, რა გამოდის, რომ უპირატესობა ისევ „ოცნებას“ დარჩება?***

— კი, გარკვეული უპირატესობა უდავოდ ექნება, მაგრამ ეს არ იქნება ის უპირატესობა, რომელიც დღეს არის. შეიძლება მას გადაწყვეტილებების მიღება გაუჭირდეს, მოუწევს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან პარტნიორობა და ეს პროცესი უფრო საინტერესო იქნება.

***— ანუ პარლამენტი უფრო მრავალპარტიული იქნება?***

— ამ გადმოსახედიდან ასე ჩანს.

***— ნაციონალებზე რას იტყვით? ამბობენ, რომ თავად პარტიაშიც აღარ აქვთ საქმე კარგად.***

— გარდა გუნდისა, ნაციონალებს მოსახლეობაშიც არ ჰქონდათ საქმე კარგად. თუმცა გუნდში როდესაც ხდება ამ ტიპის სირთულეები, ის მოსახლეობის კრიტიკულობას კიდევ უფრო ზრდის. ამიტომ ნამდვილად არაა შესაშურად საქმე ამ პოლიტიკურ პარტიაში.

რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ 2016 წლის არჩევნებზე, შესაძლოა, შემთხვევითობამ გადაწყვიტოს ყველაფერი.

***— ეს რას ნიშნავს?***

— თუ ხალხი კვლავაც პასიურად იქნა განწყობილი და არ მივიდა არჩევნებზე, გაიმარჯვებს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ყველაზე მეტად იაქტიურებს და არა ის, ვინც ხალხის სიმპათიას იმსახურებს. აი, ამას ვარქმევ შემთხვევით შედეგს, ან კიდევ იქნება თანაბარი ზომის პარტიებით დაკომპლექტებული პარლამენტი, რომლებსაც ერთმანეთთან დიალოგი მოუწევთ.

***— წელი იწურება. როგორ შეაფასებდით 2015 წელს, დადებითი მოვლენა მეტი იყო თუ უარყოფითი?***

— დადებითი მეტი იყო უდავოდ. შიდა კლიმატისაც მეტი იყო, თუმცა განსაკუთრებულ წარმატებებს მივაღწიეთ საგარეო პოლიტიკის კუთხით. ვიზალიბერალიზაციის საკითხი საკმაოდ მომხიბვლელად გამოიყურება, ასევე აზიური პოლიტიკა, ვგულისხმობ აბრეშუმის გზაში ჩართვას, საკმაოდ წარმატებული პროექტია. ასე რომ, ვნახოთ, რას მოიტანს 2016 წელი.

# მამუკა გიორგაძე: „პუტინმა გაახმიანა საქართველოს კონფედერაციის ძველი იდეა“

## „რუსეთს არ უნდა კავკასიონის სამხრეთით ძლიერი და ერთიანი სახელმწიფოს არსებობა“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში ხმაური მოჰყვა რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებს საქართველოს მიმართ.**

პუტინის თქმით, კონფლიქტები საქართველომ თვითონ უნდა მოაგვაროს თბილისსა და სოხუმს, ასევე თბილისსა და ცხინვალს შორის მოლაპარაკებების გზით. მოსკოვი მზადაა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გასაუქმებლადაც.

სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე რუსეთის ამ გზავნილებში განსაკუთრებულს და ახალს ვერაფერს ხედავს.

— რუსეთმა სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე საუბარი დაიწყო იმ დროს, როცა საქართველოს მოქალაქეებს კარს უხსნის ევროპა. ევროკავშირის სახელმწიფოებთან ვიზალიბერალიზაცია არათუ აზრს უკარგავს სავიზო რეჟიმს რუსეთსა და საქართველოს შორის, არამედ, ეს საზიანო ხდება რუსეთისთვის, — აღნიშნა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მამუკა გიორგაძემ.

მისივე თქმით, ესაა არა რუსეთის კეთილი ნება, არამედ იძულება.

***— აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონების ხსენება და კონფლიქტებზე საუბრის დაწყებაც იძულებითი ნაბიჯია?***

— აქ ჩადებულია რუსეთის მუდმივი ინტერესი. ესაა საქართველოში კონფედერაციის შექმნა. რუსეთის პრეზიდენტმა ფაქტობრივად გაახმიანა კონფედერაციის ძველი იდეა. რუსეთის ხელისუფლებას სურს, საქართველოს პოლიტიკური ელიტა მას ეახლოს, დაუჩოქოს და უთხრას, რომ ის მზადაა, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი შეიყვანოს კონფედერაციაში რუსეთის გარანტიის ქვეშ. რუსეთის მესვეურებს იმედი აქვთ, რომ ამ გზით მიიღებენ საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის მექანიზმს.

***— ადრე კონფედერაციაში მისი ინიციატორები გულისხმობდნენ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს. გამოდის, რომ ახლა ცხინვალის რეგიონიც სუბიექტად მოიაზრება კონფედერაციაში?***

— მთავარია, რომ რუსეთს საქართველოში სჭირდება დაშლადი სახელმწიფო რუსეთის გარანტიის ქვეშ. თუ ასეთი დაშლადი ფორმირების სუბიექტი ხდება აფხაზეთი, ავტომატურად დგება ცხინვალის რეგიონის საკითხიც.

***— რუსეთის ამ გზავნილებს წინ უძღოდა სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის უცნაური განცხადებები იმაზე, რომ აფხაზეთი არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში.***

— მართლაც, ეს განცხადებები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. ეს აძლიერებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ პაატა ზაქარეიშვილი ემსახურება რუსეთის ინტერესებს. ზაქარეიშვილმა კონფედერაციისთვის მოგვამზადა.

***— არა მგონია, საქართველოს საზოგადოება ამისთვის მზად იყოს.***

— საბედნიეროდ, ჩვენი საზოგადოება ეწინააღმდეგება ასეთ ანტისახელმწიფოებრივ და ანტიქართულ აქტს. ასე რომ არ იყოს, აქამდე რუსეთი თავის აქაურ აგენტურასთან ერთად თავისას გაიტანდა.

მამუკა გიორგაძე იხსენებს, რომ ასეთი მცდელობები შევარდნაძესაც ჰქონდა და სააკაშვილსაც. ამ ხელისუფლებაშიც არიან ისეთი პირები, რომლებიც ეთანხმებიან საქართველოს დაშლას. ქართული სახელმწიფოს ინტერესების დაცვის გამოა ატეხილი ის ამბები, რომლებიც ბოლო 20 წლის განმავლობაში ხდება. უკრაინაშიც იგივე მოვლენებია.

— რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველოში ქაოსი, არეულობა იყოს და ვერაფრით მოხერხდეს გაერთიანება, პოლიტიკური აზრის კონსოლიდირება. რუსეთი ყველა ღონეს ხმარობს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში იყვნენ არაჯანსაღი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ემსახურებიან რუსეთის ინტერესებს. რუსეთის აგენტურა მზადაა, პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ გაწიროს საქართველოს ინტერესები, — ამბობს პოლიტიკოსი.

***— ამ თემების განხილვა არ ხდება.***

— წინა ხელისუფლებების საქმიანობის ანალიზი აუცილებლად უნდა მომხდარიყო. მაშინ უფრო ნათელი გახდებოდა, რომ რუსეთს არ აძლევს ხელს საქართველოში ძლიერი, ერთიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. საქართველო რომ ასეთი გახდეს, ის იქნება უპირობო ლიდერი კავკასიაში, რუსეთს კი მოუწევს რეგიონის დატოვება. ეს განპირობებულია წარსულით, გეოსტრატეგიული ფაქტორებით. საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც უწყვეტი სახელმწიფოებრიობა აქვს.

***— რას უნდა ველოდოთ რუსეთისგან?***

— რუსეთი გააგრძელებს თავისი ძველი ინტერესების გატარებას და საქართველოს დასუსტებას. მას უნდა, დამკვიდრდეს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოდ. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. ოღონდ, ბრძოლა უნდა გამოვაცხადოთ არა ტანკებით, არამედ, სახელმწიფოებრივი მიდგომებით, კონსოლიდაციით, ეროვნული ხელისუფლების მოყვანით, დემოკრატიის განვითარებით, დასავლეთთან დაახლოებით, ბოლშევიკური სტილის მმართველობაზე უარის თქმით.



საზოგადოება უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ საქართველოში და მის გარშემო ქაოსს რუსეთი ქმნის. გასააზრებელია ზოგიერთი პოლიტიკოსის თუ ჩინოსნის განცხადებებიც.

# გია ვოლსკი: „მეშინია, კაკო ბობოხიძეს წნევამ არ აუწიოს“



საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, გია ვოლსკის, განცხადებით, უმცირესობის დეპუტატ აკაკი ბობოხიძის ჯანმრთელობისთვის უკეთესი იქნება, თუ ტრიბუნიდან არ იყვირებს და საქმეს მშვიდად მიუდგება.

როგორც ვოლსკიმ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მას ეშინია, „აკაკი ბობოხიძეს წნევამ არ აუწიოს.“

**გია ვოლსკი:**

— მეშინია, რომ კაკო ბობოხიძეს წნევამ არ აუწიოს. მაგრამ მერე ვმშვიდდები ხოლმე, რომ ამდენი წელია ასე გაჰყვირის ტრიბუნიდან. აქამდე გადარჩა და არა მგონია, რომ მაინცდამაინც ამ მოწვევის პარლამენტში ჰპოვებს მისი ჯანმრთელობა ცუდ დასასრულს. ღმერთმა დაიფაროს, დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ასე წივილ-კივილით არ გამოვა საქმე.

**ნიუსპრესი**

# კაკო ბობოხიძე: „უნდა ამოვკვეთოთ ის სიმსივნე, რასაც ქართული ოცნება ჰქვია“



პარტია ნაციონალური მოძრაობისა და საპარლამენტო უმცირესობის წევრის, აკაკი ბობოხიძის განცხადებით, საარჩევნო ოლქების საზღვრების მოშლის ის მოდელი, რაც უმრავლესობამ შეიმუშავა, მიუღებელია.

ბობოხიძემ ამის შესახებ, პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

— ვერაფრით ვერ დავეთანხმები იმას, რომ სვანეთს არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენლობა პარლამენტში. ვერაფრით ვერ დავეთანხმები იმას, რომ ლეჩხუმს და რაჭას არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენლობა პარლამენტში. ჩვენი ხელით უნდა ამოვკვეთოთ საქართველოს ის სიმსივნე, რასაც „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება ჰქვია, — განაცხადა აკაკი ბობოხიძემ.

* * *

საპარლამენტო უმცირესობის წევრები საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს მხარს არ უჭერენ და აცხადებენ, რომ მმართველმა გუნდმა მოდელი საკუთარ თავზე მოირგო.

მმართველ გუნდში კი აცხადებენ, რომ მათ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები გაითვალისწინეს.

**ნიუსპრესი**

# ავაკოვმა სააკაშვილს სასამართლოში უჩივლა

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არსენ ავაკოვმა, ღირსების შელახვისთვის ოდესის ოლქის გუბერნატორს, მიხეილ სააკაშვილს, სასამართლოში უჩივლა. ამის შესახებ უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა ადგილობრივი ტელეარხის ეთერში განაცხადა. ავაკოვმა სარჩელი სასამართლოში იმ ბრალდებების გამო შეიტანა, რომლებიც ოდესის ოლქის გუბერნატორმა მთავრობის სკანდალურ სხდომაზე გააჟღერა.

მიხეილ სააკაშვილმა არსენ ავაკოვს ქურდი უწოდა და კორუფციაში დაადანაშაულა. ამ ბრალდებების დამტკიცებას ავაკოვი სააკაშვილისგან სასამართლოში მოითხოვს. მისივე თქმით, სარჩელს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არსენი იაცენიუკიც ამზადებს.

**ნიუსპრესი**



# ვახტანგ ძაბირაძე: „თუ რუსეთი ვიზებს გააუქმებს, ხელისუფლებას ეს აქტივში ჩაეთვლება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დადებითად აფასებს რუსეთის პრეზიდენტის მიერ საქართველოსთან ვიზების გაუქმების შესახებ გაკეთებულ განცხადებას.**

— ცხადია, რომ ამ ერთი განცხადებით რუსეთსა და საქართველოს შორის ასე მარტივად ვერ დალაგდება ურთიერთობები. ამ ერთი განცხადებით არც პუტინი შეიცვლება და არც — რუსეთი, — ამბობს პოლიტოლოგი.

***— დამაიმედებელი განცხადება არ არის?***

— ცუდი განცხადება ნამდვილად არ არის, პირიქით, კარგი განცხადებაა, მაგრამ, რამდენად არის შესრულებადი, რამდენად მოჰყვება მას ადეკვატური ნაბიჯები, ეს არის მნიშვნელოვანი.

***— ითქვა, რომ პუტინი ევროკავშირს უწევს კონკურენციას და ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციას უნდა ვუმადლოდეთ პუტინის ამ განცხადებას. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— ფაქტი ერთია — ერთმანეთს დაემთხვა პუტინის განცხადება და ევროკომისიის დასკვნა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, უვიზო მიმოსვლა ყველასთან მისასალმებელია, ცხადია, რუსეთთანაც. თუ სავიზო რეჟიმი გაუქმდება რუსეთის მხრიდან, ეს მხოლოდ მისასალმებელი იქნება და ქვეყნებს შორის ურთიერთობის დალაგებისკენ გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს არის მისი მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი. რეალურად ასეა?***

— რა თქმა უნდა, თუ რუსეთმა გააუქმა ვიზები, ეს ამ ხელისუფლებას აქტივში ჩაეთვლება და მის მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგი იქნება. წინა ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის მიმართ ამ ხელისუფლებამ შეცვალა, ისეთი ხისტი აღარ არის ეს პოლიტიკა. მე ვიტყოდი, დაპირისპირების ფორმა შეიცვალა, ლექსიკა შეიცვალა, „ლილიპუტინი“ აღარ არის მიმართვის ფორმა და არც რუსეთის დაშლით იმუქრება ვინმე, თუმცა რიტორიკის ცვლილება არ ნიშნავს, რომ ქვეყნის კურსი შეიცვალა.

***— ნაციონალური მოძრაობა ამას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.***

— ამას ნაციონალური მოძრაობა აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მოიტანს კი მხოლოდ რიტორიკის შეცვლა რაიმე შედეგს ჩვენთვის?

***— როგორ ფიქრობთ, მოიტანს?***

— ძალიან რთული კითხვაა. ჩვენ კარგად ვიცნობთ რუსეთს და მით უფრო პუტინს, ყველამ იცის, რა ამოძრავებს მას და რა უნდა. თუ რიტორიკის შეცვლა რამე შედეგს მოგვიტანს, ეს მხოლოდ კარგი იქნება, თუმცა, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ახლა განცხადებას ნაბიჯები უნდა მოჰყვეს.

***— დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ვიზების გაუქმებას შეიძლება მოჰყვეს?***

— ჯერ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი ძალიან ნაადრევი მგონია. ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ამ ვითარებაში ამ კუთხით აჩქარება არ ღირს. აქვე მნიშვნელოვანია, ამ პროცესში უფრო ფართოდ ჩაერთონ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენი ქვეყნის პირველ პირებს ამ კუთხით კომუნიკაციები ჰქონდეთ ამერიკისა და ევროკავშირის ლიდერებთან.

***— პუტინმა თქვა, საქართველოდან მომავალი სიგნალები ვიგრძენითო. იქვე აფხაზებთან და ოსებთან პირისპირ დიალოგზე ისაუბრა და თქვა, რომ ის არ ჩაერევა ამ პროცესში. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ეს განცხადება?***

— ეს დაუჯერებელი მგონია. შეუძლებელია.

***— თუმცა პუტინს არ უხსენებია, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი აღიარა.***

— მიუხედავად ამისა, ერთი განცხადების დონეზე არ წყდება ეს ურთიერთობები, მით უფრო — დაკარგული ტერიტორიების ფონზე. სავიზო რეჟიმის გაუქმება არ ნიშნავს, რომ რუსეთი ხვალ და ზეგ აღფრთოვანებული შეხვდება აფხაზებთან და ოსებთან ჩვენს პირისპირ დიალოგს. ეს არის პროცესი, რომელიც ასე ერთი ხელის დაკვრით არ მოგვარდება. ეს ყველაფერი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, საერთაშორისო ფაქტორზე.

***— შეიძლება საპირწონე ნატო იყოს?***



— დიახ, პირველ რიგში სწორედ ეს იქნება. მნიშვნელოვანი პროცესები შეიძლება განვითარდეს, ამიტომ ჩვენს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მომზადებული პოზიციები, ინტენსიური ურთიერთობები ვაშინგტონთან და ბრიუსელთან.

# ევროპაში უვიზოდ ვიმოგზაურებთ

შორენა მარსაგიშვილი

**აწი ქართველებს ასე შეგვიძლია ერთმანეთს მივულოცოთ: სალამი ერო, შე ევროპელო. 18 დეკემბერს ევროკომისიამ „საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ შესრულების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში საქართველოს შესახებ დადებითი შეფასებებია მოცემული.**

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქვეყანამ ყველა ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები გეგმის ყველა ნაწილში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

ამ ამბავს ერში და მთავრობაში დიდი ჟრიამული მოჰყვა. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ევროინტეგრაციის გზაზე საქართველომ გადადგა ნაბიჯი, რომელიც ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში ქვეყნის მომავალს დიდწილად განსაზღვრავს.



წლის განმავლობაში 90 დღის მანძილზე უვიზოდ შესვლას, — აღნიშნავს პრემიერი.

პრემიერის პათოსს სრულად იზიარებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. მისი თქმით, საქართველომ დიდი ნაბიჯი გადადგა იმ ცივილიზაციისკენ, რომელიც 21-ე საუკუნეში საზღვრებს აუქმებს.

— 18 დეკემბერი არის დღე, რომელიც

**ევროკომისიის მესამე ანგარიში მაისში გამოქვეყნდა და ის ადასტურებდა პროგრესს და ხაზგასმული იყო, რომ თუ დამატებითი პროგრესი იქნებოდა მიღწეული და ყველა სტანდარტი დაკმაყოფილდებოდა, ვიზალიბერალიზაციის გეგმის მეორე ფაზაზე გადასვლა მოხდებოდა.**

ევროკომისიის დასკვნას ის ისტორიულს უწოდებს.

— ამ ისტორიული გადაწყვეტილებით, ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი იწყება. საქართველოს წინაშე სრულიად ახალი შესაძლებლობები ისახება. ევროპელებთან ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ყველა დონეზე ურთიერთობათა გაღრმავება, ქალაქების დაძმობილება, სტუდენტური და სამოქალაქო გაცვლითი პროგრამები, ევროპის ასოციაციებში გაწევრიანება, თავისუფალი ვაჭრობა — სულ მალე ეს ყველაფერი სრულიად ახალ, უფრო ღრმა და შინაარსიან განზომილებას შეიძენს. ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირში ნახევარი საქართველოს ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მივიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და არა იმიტომ, რომ საშემოდგომო სესიას ვხურავთ, პირველ რიგში იმიტომ, რომ დღეს ცნობილი გახდა ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი. ამბავი იმის თაობაზე, რომ საქართველოსა და ევროპას შორის საზღვარი უქმდება.

უვიზო მიმოსვლა სწორედ ამას ნიშნავს. ჩვენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგით იმ ცივილიზაციისკენ, რომელიც 21-ე საუკუნეში საზღვრებს აუქმებს და არა იმ ცივილიზაციისკენ, რომელიც საზღვრებს აგებს, — ამბობს უსუფაშვილი.

მისი თქმით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომაც ის თავს ვალდებულად თვლის, მთელ საქართველოს მიულოცოს ეს დღე.

— გილოცავთ ყველას. ვულოცავ თითოეულ მოქალაქეს. ტექნიკურად, კიდევ დარჩენილია

**მთავრობის ადმინისტრაცია, თბილისის ანძა, ქუთაისის თეატრი, კოშკი მესტიაში, ევროკავშირის დროშის ფერებში განათდა.**



გარკვეული სამუშაოები მანამ, სანამ თითოეული ქართველი ღირსეულად თავაწეული იმოგზაურებს ევროპაში, ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ეს არის დიდი მიღწევა ჩვენი ხელისუფლების, წინა ხელისუფლების, ძალიან ბევრი კონკრეტული ადამიანის, რომლებმაც იშრომეს ამ მიმართულებით, — აღნიშნა სპიკერმა.

მისივე თქმით, საქართველო ახლა უფრო ევროპელია, ვიდრე თუნდაც 17 დეკემბერს იყო.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, იანოშ ჰერმანის განცხადებით, საქართველომ ბოლო 6 თვის განმავლობაში, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა საჭირო რეფორმა გაატარა.

ამის შესახებ ჰერმანმა 18 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელზეც „საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ შესრულების შესახებ ევროკომისიის ანგარიშზე ისაუბრა.

ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოს წარმატება მიულოცა.

— ევროკომისიის მესამე ანგარიში მაისში გამოქვეყნდა და ის ადასტურებდა პროგრესს და ხაზგასმული იყო, რომ თუ დამატებითი პროგრესი იქნებოდა მიღწეული და ყველა სტანდარტი დაკმაყოფილდებოდა, ვიზალიბერალიზაციის გეგმის მეორე ფაზაზე გადასვლა მოხდებოდა.

ამ ანგარიშზე დაყრდნობით, საქართველომ ბოლო 6 თვეში მიაღწია სავალდებულო პროგრესს და გაატარა ყველა საჭირო რეფორმა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ყველა მოთხოვნა შესრულებულია. ევროკომისია თვლის, რომ საქართველო აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს, რომელიც ვიზალიბერალიზაციის გეგმაშია გაწერილი, — აღნიშნა ჰერმანმა.

მისი თქმით, ეს საქართველოს მთავრობის მხრიდან უწყვეტი ძალისხმევის ნათელი გამოხატულება იყო და მხარდაჭერილი პოლიტიკური სპექტრისა და სამოქალაქო საზოგადოების.

— ვთვლი, რომ ვიზალიბერალიზაციის გეგმის სტანდარტების დაკმაყოფილება დღესდღეისობით საქართველოში ეროვნული პრიორიტეტია.

ეს გახლავთ უდიდესი მიღწევა, რომელმაც დიდი წარმატება მოიტანა და ეს წარმატება საქართველოს მოსახლეობისთვის სარგებლის მომტანი იქნება. ყველას გილოცავთ ამ დღეს, ვინც წვლილი შეიტანა ამ მიღწევაში, — განაცხადა ჰერმანმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკომისია 2016 წლის დასაწყისში ევროკავშირის 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე ოფიციალურ წინადადებას წარადგენს, რომლის მიღების შემდეგ საქართველოს მოქალაქეთათვის შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდება.

ჰერმანის თქმითვე, ევროკომისია გააგრძელებს მონიტორინგს იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს საქართველო ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ნაკისრ ვალდებულებებს.

***

ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით გადაწყვეტილებას, საქართველოში განცხადებების გარდა, გამოხმაურება სხვა ფორმითაც მოჰყვა. მთავრობის ადმინისტრაცია, თბილისის ანძა, ქუთაისის თეატრი, კოშკი მესტიაში, ევროკავშირის დროშის ფერებში განათდა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**



## ლევან ვასაძე: „ქორწინების 18 წლამდე კანონით აკრძალვა არასწორია“

ბიზნესმენ ლევან ვასაძეს ქორწინების 18 წლამდე კანონით აკრძალვა არასწორად მიაჩნია.

როგორც ვასაძემ 18 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თუკი „ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ და მშობლებიც თანახმა არიან, კანონი მათ ქორწინებას არ უნდა უკრძალავდეს“.

**ლევან ვასაძე:**

— მე, როგორც 7 შვილის მამას, მიმაჩნია, რომ ერთი მხრივ, ნაადრევია 18 წლამდე ოჯახის შექმნა.

მშობლების თანხმობა, ამ შემთხვევაში სრულიად მართებულ რამედ მიმაჩნია, თუმცა მეორე მხრივ, კანონით ამის აკრძალვა არასწორია.

თუ ახალგაზრდებს ეს უნდათ და მშობლებიც თანახმა არიან, კანონით ამის აკრძალვა მიმაჩნია არასწორად, რადგან ეს არის მათი უფლებების დარღვევა.

მისი თქმით, „ყველაფერს ეწინააღმდეგებიან, რაც ოჯახურ გამრავლებისკენ არის მიმართული და ყველაფერს ახალისებენ, რაც ამას ეწინააღმდეგება“.

**ინტერპრესნიუსი**

# „ვაკანსიები გვაქვს, მაგრამ ხელფასები შემცირებულია“

## ახალი ტრენდი დასაქმების სფეროში




უმუშევრობა კვლავაც რჩება საქართველოს მოსახლეობის უმთავრეს პრობლემად და მთავრობის ეკონომიკური გუნდის თავსატეხად.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემებით, 2015 წელს დასაქმების მაჩვენებლები გაუმჯობესდა, ამ მხრივ ხელშესახები წინსვლა მაინც არ ჩანს. როგორც თბილისში მოქმედ დასაქმების სააგენტოებში აცხადებენ, ვაკანსიების რაოდენობა გასულ, 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არც გაზრდილა და არც შემცირებულა, თუმცა ამ სფეროში ახალი ტრენდი გამოიკვეთა: კომპანიებმა ხელფასები შეამცირეს და ცდილობენ, შედარებით იაფი მუშახელი დაასაქმონ.

ამას სააგენტო „ეიჩარ პარტნერსის“ დირექტორი ნინო ჯინჯოლავაც ადასტურებს.

– სახელფასო განაკვეთების შემცირება უფრო შესამჩნევია, ვიდრე სამუშაო ადგილებისა. ეს აშკარაა, მით უმეტეს, ჩვენ ძირითადად კომპანიებთან ვმუშაობთ და მათთვის მენეჯერებს ვარჩევთ, შესაბამისად, კარგად ვიცით, რა მოთხოვნები აქვთ მათ.

მოიმატა საკონსულტაციო შეკვეთებმა, რაც ნიშნავს, რომ კომპანიების სურვილია, ყველაფერი შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ჰქონდეთ. ჩვენ კონსულტაციას ვუწევთ კომპანიებს, თუ როგორ უნდა გააუმჯობესონ ადამიანური რესურსების მართვის საკითხი და ამ სერვისზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, – ამბობს ნინო ჯინჯოლავა.

მისივე თქმით, დამსაქმებლები პირველ რიგში სამუშაო გამოცდილებას კითხულობენ. ამის შემდეგ მოდის ინგლისურის, რუსულის ან სხვა უცხო ენის ცოდნა.

– უცხო ენის ცოდნას თითქმის ყოველთვის ითხოვენ. ჩვენც ვეკითხებით, რით არის ეს მოთხოვნა განპირობებული. ხშირ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნა დაუსაბუთებელია და გვყავს თავისი საქმის კარგი მცოდნე, პროფესიონალი, რომელიც უცხო ენას ვერ ფლობს, ვცდილობთ, დამსაქმებელს ავუხსნათ, თუ რა სარგებლის მოტანას შეძლებს კომპანიისთვის ეს ადამიანი. ამიტომ, ისეთი ხალხიც დაგვისაქმებია, ვინც უცხო ენა არ იცოდა, მაგრამ არც სჭირდებოდა, – აღნიშნავს ნინო ჯინჯოლავა.

დასაქმების ცენტრ „ახალი საქმის“ ხელმძღვანელმა, ვახტანგ სუხიაშვილმა კი გვითხრა, რომ მისი კომპანია არ შემოიფარგლება მხოლოდ მენეჯერებითა და ხელმძღვანელი პირებით და მომსახურების სფეროსაც ემსახურება.

– ვაკანტური ადგილები წელს უფრო მეტი გვაქვს, მაგრამ ხელფასები შემცირდა. უმეტესობას არ სურს დაბალ ხელფასზე იმუშაოს და საერთოდ უარს ამბობს ჩვენს ვაკანსიაზე, – ამბობს ვახტანგ სუხიაშვილი.

მისი დაკვირვებით, ოჯახში დამხმარეებს ან ძიძებს უფრო მეტ ხელფასს სთავაზობენ, ვიდრე მიმტანებს, კონსულტანტებს, ან დაცვის სამსახურის მუშაკებს. თუ დასაქმების მსურველმა მწოლიარე ავადმყოფს უნდა მოუაროს, მისი ხელფასი კიდევ უფრო მაღალია.

– საკმაოდ მკაცრ პირობებს გვიყენებენ, რადგან ყველას გამოცდილი და საქმის მცოდნე კადრი სჭირდება. ყველაზე მეტად იცით რომელი კატეგორიის ხალხი მაკვირვებს? – ვინც არ მუშაობს და დაბალ ხელფასზეც უარს ამბობს. როდესაც ვურჩევთ, დაიწყოს სამსახური, დატოვოს თავისი ანკეტა და მერე შეიძლება სხვა რამ გამოჩნდეს, უარს გვეუბნებიან. არც სამსახური აქვთ, უჭირთ და დაბალ ხელფასზეც არ მიდიან. ასეთი კატეგორიის ხალხი ჩვენთან ძალიან ხშირად მოდის, – აღნიშნავს ვახტანგ სუხიაშვილი.

ვებგვერდ „დასაქმება.გე“-ს წარმომადგენელი თამარ პირველი კი ამბობს:

– ჩვენი საიტი ვაკანსიებისა და ტრენინგების საიტია და ამ ორ მიმართულებას თუ შევადარებთ, წელს უფრო მეტად სასწავლო კურსებთან დაკავშირებული განცხადებები სჭარბობს. მუშახელზე დიდი მოთხოვნა არ არის და თუ შემოდის, ძირითადად მომსახურების სფეროს მუშაკებს ითხოვენ: ყველაზე ხშირად სჭირდებათ გამყიდველი, ხელოსანი, მიმტანი და ა.შ.

ვებგვერდს ხშირად აქვს ვაკანსიები სილამაზის სალონებში, სადაც სტილისტები, ვიზაჟისტები, მანიკურის და პედიკურის სპეციალისტები სჭირდებათ.

– მოკლედ, მცირე ბიზნესიდან უფრო ხშირად შემოდის მოთხოვნა მუშახელზე, ვიდრე ცნობილი, მსხვილი კომპანიებიდან. როგორც ყოველთვის, მომსახურების სფერო ახლაც აქტიურია, მით უმეტეს, რეგიონებში, საიდანაც უფრო მეტად ამ ტიპის ვაკანსიები შემოდის, – ამბობს თამარ პირველი.

# ბიზნესმენები პრეზიდენტის ვეტოს ითხოვენ



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი ბიზნესმენებს შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის მიერ საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის გაუქმების შესახებ იმსჯელეს. ბიზნესმენები პარლამენტის მიერ მიღებულ შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე საქართველოს პრეზიდენტისგან ვეტოს დადებას მოითხოვენ.

შეხვედრას საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციის და საქართველოს ბანკების ასოციაციის წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი ასლანიშვილმა განუცხადა, არაერთი არგუმენტია, რის გამოც ბიზნესმენები აღნიშნულ ცვლილებებს აპროტესტებენ.

– პირველ რიგში, როდესაც ქონებაზე სრულდება საკუთრების რეალიზება, ეს ავტომატურად უძრავი ქონების ბიზნესში ჩართული ადამიანების პრაქტიკის გადახედვას, საფასო პოლიტიკის შეცვლას და გაძვირებას იწვევს. საბანკო სექტორი, რომელიც აფინანსებს უძრავი ქონების ბაზარს, იხილავს ახალი რისკების შეფასების სისტემას, რაც აისახება საპროცენტო განაკვეთების ზრდაში, რადგან მომატებული რისკის პირობებში ავტომატურად შეიცვლება საპროცენტო განაკვეთები და რისკების შეფასების სისტემა, – განაცხადა ირაკლი ასლანიშვილმა.

საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტის, ზურაბ გვასალიას თქმით კი, თუ აღნიშნული კანონპროექტი მაინც იქცა კანონად, ბიზნესმენები მას შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

– იმედს ვიტოვებთ, მივაღწევთ საბოლოო შედეგს, რომ ქვეყნის ეკონომიკას, საინვესტიციო გარემოს, საკრედიტო ურთიერთობებს არ მიადგეს ჩრდილი და პრობლემები, ვინაიდან ეს ცვლილებები გააუარესებს ყველა სფეროს და საინვესტიციო გარემოს, რაც ქვეყნისთვის ძალიან წამგებიანი და ცუდია. ვიმედოვნებთ, რომ ეს არგუმენტები გაზიარებული იქნება პრეზიდენტისგან. სახეზეა ფუნდამენტური პრინციპის, საკუთრების უფლების ხელყოფა, – განაცხადა გვასალიამ.

პრეზიდენტის პოზიცია მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც აღნიშნულ საკითხს დეტალურად შეისწავლის.

– ამ ეტაპზე აქტიურად ვსწავლობთ არსებულ ვითარებას. არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ ერთი შეხვედრა გავმართოთ მას შემდეგ, რაც კანონპროექტი შემოვა. პრეზიდენტს გავაცნობთ ბიზნესმენების პოზიციას და სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი მისი საბოლოო პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, – განაცხადა აბაშიშვილმა.

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო, თუმცა ხელმოსაწერად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადმოგზავნილი ჯერჯერობით არ არის.

# ნარმანიამ კომპანიები დააჯარიმა



– იმ კომპანიებზე, რომლებსაც გზების დაგების ვადებთან დაკავშირებით გადაცდომები ჰქონდათ, შესაბამისი პასუხისმგებლობა უკვე გავრცელებულია.

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს შესაბამის კითხვაზე პასუხად განუცხადა.

როგორც ნარმანიამ განმარტა, ეს კომპანიები დადგენილი წესის შესაბამისად დაჯარიმდნენ.

– იყო ცალკეული შემთხვევა, როდესაც სამუშაოები სხვა კომპანიებმა გააგრძელეს, ვინაიდან მათ სამუშაოების გაგრძელების რესურსი არ ჰქონდათ. კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათთან კონტრაქტი გაწყდა, – განაცხადა ნარმანიამ და აღნიშნა, რომ ასეთი შემთხვევა ბევრი არ ყოფილა.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**



# თბილისის ანძა შესაძლოა პერიოდულად გაითიშოს

თბილისის ანძა მიმდინარე ტექნიკური სამუშაოების გამო მომდევნო დღეების განმავლობაში შესაძლოა პერიოდულად გაითიშოს.

როგორც შპს „სინათლის ქალაქში“ განაცხადეს, აღნიშნული სამუშაოების გამო, 17 დეკემბერს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანძა გამორთული იყო. როგორც „სინათლის ქალაქში“ განმარტავენ, ანძა გაითიშება იმ შემთხვევაში, თუ ამის აუცილებლობა დადგება.

თბილისის ანძაზე განათების შეცვლის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს „სინათლის ქალაქი“ იტალიურ კომპანიასთან ერთად ახორციელებს. სანათები თითქმის უკვე სრულად შეცვლილია და მიმდინარეობს დასკვნითი სამუშაოები.

როგორც „სინათლის ქალაქში“ აცხადებენ, უახლოეს პერიოდში თბილისს ექნება სრულიად ახლებურად განათებული ანძა. **ბიპიენი**

# „რაც მეტი ქართული ნაწარმი გაიყიდება, მით უკეთესი ქვეყნისთვის“

## ქარვასლაში ქართული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა იმართება

**ლალი დავითური**

18 დეკემბერს სავაჭრო ქსელ ქარვასლაში გაიხსნა ქართული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

მასში მონაწილეობს 23 ქართული კომპანია. აქ ერთ სივრცეში წარმოდგენილნი არიან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან ქართველი მწარმოებლები.

გამოფენა 20 დეკემბერს იხურება.

„ახალი თაობა“ რამდენიმე კომპანიის წარმომადგენელს გაესაუბრა.

კომპანია „წყალტუბოს სიროფის“ დამფუძნებელი და დირექტორი **ავთანდილ გოდუაძე:**

– „წყალტუბოს სიროფი“ მიმდინარე წლის ივლისში დაფუძნდა და ხილისგან ვაწარმოებთ სიროფებს. ეს არის ნატურალური, ქართული პროდუქცია განსაკუთრებული გემოთი და არომატით. ამ ეტაპზე ვაწარმოებთ 6 დასახელების ნახევარლიტრიან და ლიტრიან ლიმონის, ჟოლოს, ალუბლის, ტარხუნის, შოკოლადის და ყავის სიროფებს.

ადგილობრივი ხილის ნედლეულზე ვხდით ხილის სპირტს. ადგილზე გვაქვს სპირტის სახდელები, საიდანაც ვიღებთ არომატიზატორებს, მიღებული არომატებით კი ვაწარმოებთ სიროფებს. მომავალში ვაპირებთ წარმოების გაფართოებას და კიდევ ორი გემოს, მსხლის და ფორთოხლის, დამატებას.

**„ქართული წინდის“ მენეჯერი მარიამ დანელია:**

– „ქართული წინდა“ არის ერთ-ერთი პირველი ქართული წარმოება ტრიკოტაჟის დარგში. უკვე ოთხი წელია, ბაზარზე ვართ, ვაწარმოებთ ქალის, მამაკაცის, ბავშვის ბამბის წინდებს. ნედლეულად ვიყენებთ ბამბას და მასში გამოყენებული თითოეული კომპონენტი არის ნატურალური.

ვცდილობთ, რომ იმპორტირებულ პროდუქციას გავუწიოთ კონკურენცია, თვეში დაახლოებით 15 ათას წყვილ წინდას ვუშვებთ. ჩვენი პროდუქცია შედის სუპერმარკეტებში და ჩვენ უკვე გვყავს ჩვენი ერთგული მომხმარებელი. ქართული ბაზრის ათვისების შემდეგ ვაპირებთ ექსპორტზე გასვლასაც.

**კომპანია „ნაგემის“ მარკენტინგის მენეჯერი ვერიკო სუჯაშვილი:**

– ჩვენ გამოფენაზე წარმოდგენილი გვაქვს სამი სახეობის კარაქი. თვითონ ბრენდი არის ქართული, იყიდება საქართველოში და მზადდება ჩვენთვის, მაგრამ პროდუქცია მზადდება უკრაინაში. გვაქვს სამი ტიპის კარაქი, ერთი ნატურალური ნაღების კარაქი და ორი სპრედი. ამ ეტაპზე ჯერჯერობით მხოლოდ თბილისის სუპერმარკეტებში ვართ წარმოდგენილი, მაგრამ ვაპირებთ რეგიონებში გასვლასაც.

* * *

გამოფენის ძირითადი მიზეზი და მიზანია, საქართველოს მოქალაქეებს გააცნოს საქართველოში წარმოებული პროდუქცია. აქ ბევრი ისეთი პროდუქტია წარმოდგენილი, რომ, დარწმუნებული ვარ, მოქალაქეების 90%-მა არ იცის, რომ საქართველოში იწარმოება. პირველად არის წარმოდგენილი სულ ახალი გაკეთებული ბრენდი „ქართული სიგარილა რამონა“ , რომელიც სულ თოთო პროდუქტია. ჯერ ბაზარზე არც კი გასულა და პირველად არის ამ გამოფენაზე წარმოდგენილი.



– გამოფენაში ყველანაირ კომპანიას შეეძლო მონაწილეობის მიღება, შეზღუდვა სპექტრში არ გვქონდა, რაც მეტი ადამიანი შეიგნებს, რომ ქართული უნდა იყიდოს, მით უკეთესი ბიზნესისთვის და ქვეყნისთვის, – განაცხადა გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ტარიელ ზივზივაძემ.

# „რუსეთმა შეიძლება შეაჩეროს სოხუმის და ცხინვალის აღიარება“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „რუსეთთან ყინულის ლღობა დაიწყო“

გულიკო ბალაძე



დაემთხვა თუ უბრალოდ პასუხია ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე პუტინის განცხადება, რომ საქართველოსთან სავიზო რეჟიმს გააუქმებს?

დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ორივე შემთხვევაში საქართველოს ეძლევა საშუალება, გაამართლოს თავისი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა დედამიწაზე.

– საქართველო მდებარეობს დასავლური რაციონალიზმისა და აღმოსავლური სიბრძნის გზაჯვარედინზე, რაც ორი თანხვედრილი ინიციატივის რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა. ერთი მხრივ, გვეძლევა შესაძლებლობა, ვისარგებლოთ ვიზალიბერალიზაციით 2016 წლიდან. მეორე მხრივ კი გამოითქვა სრული მზაობა, რუსეთის მხრიდან მოიხსნას სავიზო რეჟიმი, რომელიც ცალმხრივად მოქმედებდა რუსეთში შემსვლელი საქართველოს მოქალაქეებისთვის, – აღნიშნავს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

***– პუტინმა თავისი განცხადებით საქართველო-ევროკავშირს შორის ვიზალიბერალიზაციას ხომ არ უპასუხა? მგონი, შეეცადა გაეფერმკრთალებინა ეს მიღწევა.***

– უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოს ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციას რუსეთი ტრაგედიად არ აღიქვამს.

***– რატომ გგონიათ?***

– რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების ფაქტორი საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთისთვის. უკრაინის შემთხვევაში განსხვავებული ვითარებაა.

***– ეს რაში გამოიხატება?***

– უკრაინასთან რუსეთს მრავალმილიარდიანი საქონელბრუნვა და სავაჭრო– ეკონომიკური ურთიერთობები აქვს, რაც ორგანულადაა დაკავშირებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებასთან. რუსული სამხედრო ვერტმფრენების ავიაძრავები კეთდებოდა ლუგანსკის ოლქში. შესაბამისად, უკრაინის ეკონომიკას გავლენა ჰქონდა რუსულ სტრატეგიულ მიზნებზე. დღეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტი ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენ ევროპასთან ვხსნით ფანჯარას. პარალელურად, რუსეთთან ყინული ლღვება.

***– პუტინის განცხადება ყინულის გალღობად მიგაჩნიათ?***

– დიახ. რუსეთის ფედერაციასთან ყინულის ლღობა პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკური ფასის განსაზღვრასთან. ამ განსაზღვრაში გაერთიანებულმა დემოკრატებმა და მისმა ლიდერმა ლომის წილი შეიტანეს.

***– რა წვლილი შეიტანეს?***

– 2015 წელს ნინო ბურჯანაძე ორჯერ იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო დუმის მიწვევით. რუსეთთან უვიზო რეჟიმის აღდგენა და სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარება იყო ის საკითხები, რომელთაც ხაზი გაესვა. ვიზიტის თემა ეხებოდა ჩვენი თანამემამულეების უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებას რუსეთის ფედერაციაში, მათი არჩევნებში მონაწილეობის გარანტიებს.

***– ვის არჩევნებზე და რა გარანტიაზე საუბრობთ?***

– წლების განმავლობაში ჩვენი მილიონიანი ემიგრაცია საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში არ მონაწილეობდა პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გვქონდა.

***– ნინო ბურჯანაძე რა რწმუნებით იყო აღჭურვილი? ხელისუფლების დანაბარებს გადასცემდა თუ თავისი ინიციატივით საუბრობდა ამაზე? ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ხელისუფლების წარმომადგენელი ელაპარაკება თუ პარტიის წარმომადგენელი.***

– რამდენიმე ფაქტორია. ნინო ბურჯანაძე არის მაღალი სტატუსის მატარებელი. ის ორგზის იყო საქართველოს პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, ორგზის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. ჩვენ ვართ კვალიფიციური, რეალური პოლიტიკური ძალა და ეროვნულ ნიადაგზე ვდგავართ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ნინო ბურჯანაძე ჩაითვალა იმ ოპოზიციურ პოლიტიკურ ფიგურად, ვისთანაც რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაჯდა სალაპარაკოდ.

***– მას პრორუსულ ძალად მიიჩნევენ.***

– ჩვენ ვართ ეროვნული ძალა, რომელიც შექმნის ეროვნული პოლიტიკის განვითარების შესაძლებლობებს როგორც დასავლეთით, ასევე ჩრდილოეთით.

***– რა გავლენას მოახდენს ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია და რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებზე? მათთვის რაიმე შეიცვლება თუ ისინი ისევე გააგრძელებენ ცხოვრებას, როგორც ცხოვრობდნენ?***

– ახლა ნიუ ჰოსპიტალში, ან ღუდუშაურის კლინიკაში რომ მივიდეთ, აფხაზეთიდან ჩამოსულ ათეულობით პაციენტს ვიხილავთ, რომლებიც საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე გადიან მკურნალობას. ეს არის სწორი სტრატეგია და ტაქტიკა, რომელსაც ხელისუფლება მისდევს. ეს პოლიტიკა გამართლებულია იმ შედეგებიდან გამომდინარე, რომელთაც ჩვენ მივიღებთ.

ანალოგიური მოლოდინი გაჩნდება მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში შესაძლებლობას მივცემთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, რომ მათ საქართველოს ეროვნული, საზღვარგარეთის პასპორტით ისარგებლონ, რადგან ისინი დამოუკიდებელ ფანჯარას ევროპაში გასასვლელად ვერ მოიპოვებენ.

***– რუსეთთან?***

– რუსეთის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. სოჭის ოლიმპიადის დროს ელექტრონულ რუკაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები ღრუბლებით იყო დაფარული, სადაც არ იყო მკაფიო ხაზგასმა ამ ტერიტორიების პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით.

***– ასე გგონიათ?***

– დიახ. ასევე, რუსეთის გენერალურმა შტაბმა ჩაატარა ფართო პრეზენტაცია სირიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, საერთოდ, ღრუბლების გარეშე იყო წარმოდგენილი საქართველო ერთიანი, მთლიანი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით.

ეს ხდებოდა 2-3 კვირის წინ. ეს იყო საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს აკრედიტებული ჟურნალისტთა კორპუსი. სწორედ იქ საქართველოს რუკა გამოისახა როგორც ერთიანი მთლიანი.

***– ეს რამდენად იმედის მომცემი ჟესტია რუსეთის მხრიდან?***

– ოკუპირებული ტერიტორიები მოქცეული იყო ზუსტად იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობამ ცნო.

***– დეოკუპაციისთვის ეს საკმარისია?***

– საკმარისი არ არის, მაგრამ პუტინმა თავის პასუხში აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არის ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების მოლაპარაკების საკითხი. მათი მოლაპარაკების შემთხვევაში რუსეთს არაფერი საწინააღმდეგო არ ექნება არც ერთი საბოლოო გადაწყვეტილების რეალიზაციის საკითხში.

***– ხომ იცით, რუსეთის გარეშე აფხაზები და ოსები ნაბიჯსაც რომ ვერ გადადგამენ?***

– პოლიტიკურად სწორედ ასე უნდა წავიკითხოთ – რუსეთი არ გამორიცხავს ცალმხრივი აღიარების შეჩერებას. საქართველოსა და ოკუპირებული ტერიტორიების მონაწილეობით პოლიტიკურ პროცესს ექნება ერთი გამოსავალი. ეს გამოსავალი იქნება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასის განსაზღვრა. რა ინტერესები ჩაიწერება, როგორ ჩაიწერება, ამას პოლიტიკური დიალოგი სჭირდება, რასაც ჩვენი ხელისუფლება, სამწუხაროდ, არ იწყებს. სამაგიეროდ, რუსეთთან პოლიტიკური დიალოგი დაიწყო ნინო ბურჯანაძემ, რის პირველი შედეგი სახეზეა.

## კახეთში ოთხი ეკლესიის გაქურდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



კახეთში ოთხი ეკლესიის გაქურდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ყვარლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1994 წელს დაბადებული თამაზ ჭ. ქურდობის ფაქტზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა თამაზ ჭ. 2015 წლის 16 დეკემბერს, ღამით, ქალაქ ყვარელში, რუსთაველის ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ყვარლის დედათა მონასტრის გაქურდვას ცდილობდა.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 5 დეკემბერს, ღამით, ლაგოდეხში მდებარე ყაზანის სახელობის ეკლესია გაქურდა, საიდანაც 440 ლარი და 20 აშშ დოლარი წაიღო.

თამაზ ჭ-მ 9 დეკემბერს განმეორებით გაქურდა ლაგოდეხის ყაზანის სახელობის ეკლესია და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 30 ლარს.

იმავე ღამით გაქურდა ლაგოდეხში მდებარე სამების ეკლესია და 80 ლარი მოიპარა.

13 დეკემბერს მან დააზიანა ლაგოდეხის ყაზანის სახელობის ეკლესიის კარები, ეკლესიაში შეაღწია და მესამედ სცადა ქურდობა, თუმცა თანხის არარსებობის გამო განზრახვა ველარ განახორციელა.

15 დეკემბერს თამაზ ჭ-მ გურჯაანში მდებარე სამების სახელობის ეკლესია გაქუდა, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 150 ლარს, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ინფორმაციით, პოლიციამ შესაწირავის 2 ყუთი, ხელთათმანები, მოპარული ფულის ნაწილი და ხელსაწყო, რომელსაც ბრალდებული დანაშაული ჩადენისას იყენებდა, ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულებს. (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით).

**ინტერპრესნიუსი**

## შსს-მ ოჯახში ძალადობის ბრალდებით ძებნილი პირი დააკავა

შსს-მ ოჯახში ძალადობის ბრალდებით ძებნილი პირი დააკავა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოჯახში ძალადობის ბრალდებით ძებნილი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ამავე სამმართველოს მიერ ოჯახში ძალადობის ბრალდებით 2015 წლის 2 სექტემბრიდან ძებნილი, 1985 წელს დაბადებული ნიკოლოზ კ. სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 2015 წლის 30 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში მეუღლეს – 1991 წელს დაბადებულ ლუიზა ფ-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ნიკოლოზ კ-ს საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება გამოიწვია, სასჯელის სახით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯა, – აღნიშნულია შს სამინისტროს განცხადებაში.

დაკავებული გადაყვანილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მერვე დაწესებულებაში.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.



## ალეკო ელისაშვილი: „პროკურატურაში ანეკდოტური შეკითხვები დამისვეს“

ალეკო ელისაშვილის განცხადებით, პროკურატურაში მას მესამე დაკითხვისას ანეკდოტური შეკითხვები დაუსვეს. როგორც ელისაშვილმა შვიდსაათიანი დაკითხვის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მას ჰკითხეს რატომ ეძახის პროკურორებს უსაქმურებს. მისივე თქმით, დაკითხვის ოქმში ასევე შეტანილი იყო გამომძიებელის კითხვა, თუ საიდან იცის ელისაშვილმა, რომ პროკურატურამ თავის დროზე გირგვლიანისა და რობაქიძის საქმეები გააყალბა.

– რა შუაში იყო, მაგრამ ეს შეკითხვები დამისვეს, – განაცხადა ელისაშვილმა. მისი თქმით, 7 საათის განმავლობაში იგი მესამედ დაკითხეს. ასევე მის მიერ კომპანია „მაგთიდან“ სატელეფონო ამონაწერის დათვალიერება მოხდა.

## ავღანეთიდან ჩამოსულ ჯარისკაცებს ფსიქოლოგიური შემოწმება ჩაუტარდათ



როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, სამშვიდობო მისიიდან დაბრუნებული ჯარისკაცების ფსიქოლოგიური მონიტორინგი პროექტის – „მხარი მხარს“ ფარგლებში ხორციელდება. „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიიდან დაბრუნებული III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ნაკრები ასეულის ფსიქოლოგიური მონიტორინგი ბათუმში არსებულ ადლიის ბაზაზე განხორციელდა.

– საერთაშორისო მისიაში მყოფი ჯარისკაცების მონიტორინგი ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა აწარმოა.

სამხედრო მოსამსახურეების სკრინინგი ამერიკის შეერთებულ შტატებში კარგად აპრობირებული პროტოკოლის მიხედვით განხორციელდა. აღნიშნული სკრინინგი იძლევა საშუალებას, პოსტტრავმული სტრესი ან რამე სხვა პრობლემა გამოვლინდეს, შემდგომი დახმარების აღმოჩენის მიზნით, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ვაშინგტონმა პუტინის სიტყვებზე კომენტარი გააკეთა



თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯოშუა ერნსტმა პუტინის სიტყვებზე, თურქებმა ჩვენ თვითმფრინავი იმიტომ ჩამოაგდეს, რომ ამერიკელებს ერთ ადგილს ულოკავენო, შემდეგი კომენტარი გააკეთა:

— ჩვენ გაგვაჩნია უტყუარი ინფორმაცია იმისა, რომ რუსულმა თვითმფრინავმა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია! ეს პირველად არ მომხდარა. თურქების გადაწყვეტილებაც სწორი იყო!

ამავე დროს, ერნსტმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონი რუსეთ-თურქეთის კონფრონტაციით დაინტერესებული არ არის და ყველაფერს აკეთებს, რათა მოსკოვ-ანკარას შორის ნორმალური ურთიერთობები აღდგეს.

— ახლა ტერორიზმის წინააღმდეგ ყველანი უნდა გავერთიანდეთ! კონფრონტაციის დრო, უბრალოდ, არაა, — აცხადებს ერნსტი.

# ევროკავშირი საზღვრების დაცვას აძლიერებს

ბრიუსელში ევროკავშირის ლიდერები შეიკრიბნენ. განხილვის ძირითადი თემა ლტოლვილების ნაკადი და საზღვრების დაცვის პრობლემა იყო.

სირიიდან და აფრიკიდან ევროპაში ლტოლვილების ნაკადი არ კლებულობს,

ევროკავშირის ლიდერებიც შეთანხმდნენ, რომ შეიქმნება სპეციალური ძალები, რომლებიც საზღვრების დაცვას უზრუნველყოფენ.

მკაცრი კონტროლი დაწესდება როგორც სამხედრო, ისე სახმელეთო საზღვრებზე.



# ობამა: „სიფხიზლე აუცილებელია“

საშობაო დღესასწაულების მოახლოებასთან ერთად პრეზიდენტმა ობამამ ამერიკელებს სიფხიზლისაკენ მოუწოდა.

— ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რომ ექსტრემისტები ტერაქტებს ამზადებენ, მაგრამ სიფხიზლე აუცილებელია! — თქვა ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტმა თავის მიმართვაში მოიყვანა კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება ტერორისტების წინააღმდეგ.

— ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! — ასე დაასრულა მან თავისი სიტყვა.



# აშშ-ში ყველაზე საზიზღარი ბიზნესმენი დააკავეს




გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ბიზნესმენი მარტინ შკრელი დააკავა. მას ფინანსური მაქინაციები და გადასახადებისთვის თავის არიდება ბრალდება.

შკრელს ყველაზე საზიზღარი ბიზნესმენი შეარქვეს. ამის მიზეზი ისაა, რომ შკრელის ფირმამ წამალ დარაპლინგის წარმოებაზე მიიღო ლიცენზია. ეს წამალი გამოიყენება როგორც შიდსის, ასევე დამბლის მკურნალობისას. შკრელმა წამლის ფასი უზომოდ გაზარდა, რის გამოც ის ამერიკელთა დიდი ნაწილისთვის მიუწვდომელი გახდა. ამერიკული საზოგადოების უმრავლესობა შკრელის დაპატიმრებას სიხარულით შეხვდა.

# პოროშენკო ბრიუსელში ჩავიდა



უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ბრიუსელს ესტუმრა. აქ ის ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგსა და ევროკავშირის ლიდერებს შეხვდა.

ჟურნალისტებთან საუბარში პოროშენკომ აღნიშნა, რომ დასავლეთი უკრაინას კვლავინდებურად მხარს უჭერს.

— ცნობა იმის თაობაზე, თითქოს უკრაინამ სირიაში გაიცვალა, რუსული სპეცსამსახურების მიერაა გავრცელებული. ამას რუსების მიერ მოსყიდული პოლიტოლოგები ამტკიცებენ, — თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ სანქციები რუსეთის წინააღმდეგ გაგრძელდება, უკრაინას კი ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზოდ მიმოსვლის უფლებას მისცემენ.

— ეს 2016 წლის ზაფხულიდან ამოქმედდება, — თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტი ნატოს გენერალურ მდივანსაც შეხვდა. პოროშენკომ და სტოლტენბერგმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება. მასში ნათქვამია, რომ უკრაინისთვის ნატოში გზა ხსნილია.

სამხედრო რეფორმის გატარებაში უკრაინამ დიდ წარმატებებს მიაღწია. მომავალი წლიდან ნატო-უკრაინის თანამშრომლობაც ახალ საფეხურზე ავა. სამაგიეროდ, არსებობს სირთულეები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობებში.

ფონდმა ოფიციალურად აღიარა უკრაინის ვალი რუსეთის წინაშე. მართალია, ეს უკრაინისა და ფონდის ურთიერთობებზე გავლენას არ იქონიებს, მაგრამ სავალუტო ფონდი კატეგორიულად მოითხოვს რეალისტური ბიუჯეტის მიღებას. უკრაინის პარლამენტში კი ამ მხრივ პრობლემებია.

# ბრაზილია: რუსეფის რეიტინგი ეცემა



ბრაზილიის უმაღლესმა სასამართლომ დაშლილად გამოაცხადა კომისია, რომელსაც პრეზიდენტ რუსეფის იმპიჩმენტის საკითხი უნდა მოეგვარებინა.

კონგრესის ქვედა პალატის სპიკერი კუნია, რომელიც იმპიჩმენტის ინიციატორია, თავად დაადანაშაულეს კორუფციაში.

ამასობაში რუსეფის პოპულარობა მაინც ეცემა. ძალისმიერი ქმედებები ამ პროცესს მხოლოდ ხელს უწყობს. მოსახლეობაც მზადაა, ქუჩაში გამოვიდეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# განცხადებები

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მობ. ტელ: 599-73-48-21

*თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.*

ლამარა თოდუა:

„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ყურანის თითოეული თავი; 2. იაპონური აბანო; 3. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია აშშ-ის ერთ-ერთი უმსხვილესი სამხედრო საზღვაო-საჰაერო ბაზა; 5. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 6. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 9. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 10. ერეკლე მეფის კარზე მოღვაწე სომეხი აშუღი; 11. ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენის გამო; 14. დიდი ისტორიული პერიოდი; 16. იტალიელი კინორეჟისორი; 18. ქართული ზღაპრების პერსონაჟი ბოროტი სული.

**თარაზულად:** 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 4. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 7. მინერალური წყალი ჩხოროწყუს რაიონში; 9. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 12. ცხარე საწებელი; 13. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 15. იზოლირებული სადენი; 17. საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყო; 19. მიწის სათხრელი მანქანა; 20. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 21. ამერიკელი მულტიპლიკატორი.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. დანი; 2. პუარო; 3. ოპეკი; 5. ცერული; 6. თეოლოგია; 9. კოლოქვიუმი; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. გნუ; 16. სესილი; 18. ვითა.

**თარაზულად**: 1. დნეპრი; 4. ცუცხვათი; 7. კალაძე; 8. კარფური; 12. ოლიფა; 13. ეგეოსი; 15. ნაბუკო; 17. აია; 19. ლეიკოციტები; 20. ფიატი; 21. მარუხი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. თული; 2. ჯანღი; 3. ალილო; 4. კოალა; 5. მიფუნე; 6. იმელმანი; 8. ანტვერპენი; 10. გლინტვეინი; 11. პერგამონი; 14. ჰიტროუ; 15. იგრიკა; 16. სარკე.

**თარაზულად**: 1. თერჯოლა; 4. კიმიგაიო; 7. ლიანა; 9. ფოლგა; 12. ვერსია; 13. ატაშე; 14. ჰერეთი; 17. ოპიუმი; 18. ოლიგოფრენია; 19. ბიბლისი; 20. ტეკილა.

# ტურის ეპიცენტრი ლონდონშია

## ევროპული უიკ ენდის მოლოდინში

### სტატისტიკა, ფსონები



ამ უიკ ენდის ევროპის ეპიცენტრი ლონდონშია, სადაც არსენალი დაუხვდება მანჩესტერ სიტის. პრემიერლიგის ლიდერების მატჩი ყველაზე გამორჩეულია ტურში, თუმცა არც ესპანეთშია ურიგო მატჩი — სევილიურ დერბიში ბეტისი-სევილიაა.

**ინგლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.12 | ჩელსი-სანდერლენდი | 1.3 | 5.5 | 9.5 |
| 19.12 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 19.12 | ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 19.12 | მანჩესტერი-ნორვიჩი | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 19. | 12 სტოკი-კრ.პალასი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 19.12 | ევერტონი-ლესტერი | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 19.12 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 20.12 | უოტფორდი-ლივერპული | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 20.12 | სუონსი-ვესტ ჰემი | 2.05 | 3.3 | 3.6 |
| 20.12 | არსენალი-სიტი | 2.5 | 3.4 | 2.75 |

**ჩელსი-სანდერლენდი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

სანდერლენდი: ***ტრავმ***-სებასტიან ლარსონი

**საუთჰემპტონი-ტოტენჰემი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჯეი როდრიგესი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ალექს პრიჩარდი

**ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-შტეფან სესინიონი, ბენ ფოსტერი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯოშუა კინგი, კალუმ უილსონი, ტომი ელპიკი, ტაირონ მინგსი, მაქს გრადელი

**მანჩესტერი-ნორვიჩი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ჯეს ლინგარდი, მარკოს როხო, უეინ რუნი, ანტონიო ვალენსია, ლუკ შოუ; ***დისკვ***-ბასტიან შვაინშტაიგერი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ენდიურ უისდომი, მეტიუ იარვისი

**სტოკი-კრ.პალასი**

სტოკი: ***ტრავმ***-ჯეფ კამერონი, პიტერ კრაუჩი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-დუაიტ გაილი

**ევერტონი-ლესტერი**

ევერტონი: ***ტრავმ***-ტიას ბრაუნინგი, ბრაიან ოვიედო, ფილ იაგიელკა

ლესტერი: ***ტრავმ***-დანიელ დრინკვატერი, ჯეფრი შლუპი, რიჩი დე ლაე; ***დისკვ***-რობერტ ჰანტი

**ნიუკასლი-ასტონ ვილა**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ჯამაალ ლასკელესი, მასადიო ჰაიდარა, ტიმ კრული, გაბრიელ ობერტანი, სტივენ ტეილორი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ჯორდან ამავი

**უოტფორდი-ლივერპული**

უოტფორდი: ***ტრავმ***-არავინ

ლივერპული: ***ტრავმ***-დეიან ლოვრენი, დანი ინგსი, ჯოზეფ გომესი

**სუონსი-ვესტ ჰემი**

სუონსი: ***ტრავმ***-ედერი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-უინსტონ რიდი, ვიქტორ მოსესი, დიაფრა სახო, დიმიტრი პოიე

**არსენალი-სიტი**

არსენალი: ***ტრავმ***-სანტი კაზორლა, ალექსის სანჩისი, მიკელ არტეტა, ჯეკ უილშირი, ტომაშ როსიცკი, დენი უელბეკი

სიტი: ***ტრავმ***-ფერნანდო, სერხიო აგუერო, ვინსენტ კომპანი, სამირ ნასრი, პაბლო ზაბალეტა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 15 | 10 | 5 | 1 | 34-22 | 35 |
| 2.არსენალი | 16 | 10 | 3 | 3 | 29-13 | 33 |
| 3.სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 32-17 | 32 |
| 4.მანჩესტერი | 16 | 8 | 5 | 3 | 21-12 | 29 |
| 5.ტოტენჰემი | 16 | 6 | 8 | 2 | 26-14 | 26 |
| 6.კრ.პალასი | 16 | 8 | 2 | 6 | 21-15 | 26 |
| 7.უოტფორდი | 16 | 7 | 4 | 5 | 18-16 | 25 |
| 8.ვესტ ჰემი | 16 | 6 | 6 | 4 | 25-21 | 24 |
| 9.ლივერპული | 16 | 6 | 6 | 4 | 20-19 | 24 |
| 10.ევერტონი | 16 | 5 | 8 | 3 | 29-21 | 23 |
| 11.სტოკი | 16 | 6 | 5 | 5 | 13-14 | 23 |
| 12.საუთჰემპტონი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-19 | 21 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 16 | 5 | 5 | 6 | 16-21 | 20 |
| 14.ბორნმუთი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-31 | 16 |
| 15.ნიუკასლი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-31 | 16 |
| 16.ჩელსი | 16 | 4 | 3 | 9 | 18-26 | 15 |
| 17.სუონსი | 16 | 3 | 5 | 8 | 15-24 | 14 |
| 18.ნორვიჩი | 16 | 3 | 5 | 8 | 18-28 | 14 |
| 19.სანდერლენდი | 16 | 3 | 3 | 10 | 17-30 | 12 |
| 20.ასტონ ვილა | 16 | 1 | 3 | 12 | 13-30 | 6 |

**ესპანეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.12 | ვალენსია-ხეტაფე | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 19.12 | ესპანიოლი-ლას პალმასი | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| .12 | ბეტისი-სევილია | 3.6 | 3.75 | 1.95 |
| 19.12 | დეპორტივო-ეიბარი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 20.12 | რეალი-რაიო | 1.1 | 10.0 | 19.0 |
| 20.12 | გრანადა-სელტა | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 20.12 | ბილბაო-ლევანტე | 1.4 | 4.2 | 9.0 |
| 20.12 | სოსიედადი-ვილიარეალი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 20.12 | მალაგა-ატლეტიკო | 5.5 | 3.25 | 1.75 |

**ვალენსია-ხეტაფე**

ვალენსია: ***ტრავმ***-ზაკარია ბაკალი, ენცო პერესი, სოფიან ფეგული, როდრიგო მორენო; ***დისკვ***-ლუკას ორბანი, ხავი ფუეგო

ხეტაფე: ***ტრავმ***-ემილიანო ბუენდია, ალვარო მედრანი

**ესპანიოლი-ლას პალმასი**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-არავინ

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ანტოლინ ალკარაზი, პედრო ბიგასი, მუბარაქ ვაკასო, ხავი კასტელანო

**ბეტისი-სევილია**

ბეტისი: ***ტრავმ***-დიდიე დიუგარი

სევილია: ***ტრავმ***-მარკო ანდრეოლი, ბეტო

**დეპორტივო-ეიბარი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ორიოლ რიერა, ხონას გუტიერესი, ცელსო ბორხესი; ***დისკვ***-ლაურე

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ივან რამისი

**რეალი-რაიო**

რეალი: ***ტრავმ***-დანიელ კარვახალი, რაფაელ ვარანი

რაიო: ***ტრავმ***-პატრიკ ებერტი, ტონო, დავიდ გობენო

**გრანადა-სელტა**

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

სელტა: ***ტრავმ***-ნოლიტო, ენდრიუ ფონტასი, ნემანია რადოია; ***დისკვ***-პაბლო, ბორხა

**ბილბაო-ლევანტე**

ბილბაო: ***ტრავმ***-ანდერ იტურასპე, იბაი გომესი

ლევანტე: ***ტრავმ***-ვიქტორ კასადესუსი, ანგელ ტრუხილიო

**სოსიედადი-ვილიარეალი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-მიკელ გონსალესი, ხოსება ზალდუა, დავიდ ზურუტუზა; ***დისკვ***-ალბერტო დე და ბელა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ბოიან იოკიჩი, მარიო გასპარი, დანიელე ბონერა, ლეო ბაპტისტაო, ადრიანი

**მალაგა-ატლეტიკო**

მალაგა: ***ტრავმ***-არავინ

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 11 | 2 | 2 | 36-15 | 35 |
| 2.ატლეტიკო | 15 | 11 | 2 | 2 | 22-7 | 35 |
| 3.რეალი | 15 | 9 | 3 | 3 | 32-13 | 30 |
| 4.სელტა | 15 | 8 | 4 | 3 | 26-22 | 28 |
| 5.ვილიარეალი | 15 | 8 | 3 | 4 | 19-15 | 27 |
| 6.დეპორტივო | 15 | 5 | 8 | 2 | 23-16 | 23 |
| 7.სევილია | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 8.ვალენსია | 15 | 5 | 6 | 4 | 19-12 | 21 |
| 9.ბილბაო | 15 | 6 | 3 | 6 | 22-18 | 21 |
| 10.ეიბარი | 15 | 5 | 6 | 4 | 19-17 | 21 |
| 11.ბეტისი | 15 | 5 | 4 | 6 | 13-19 | 19 |
| 12.ესპანიოლი | 15 | 5 | 2 | 8 | 15-26 | 17 |
| 13.სოსიედადი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-20 | 16 |
| 14.ხეტაფე | 15 | 4 | 3 | 8 | 16-24 | 15 |
| 15.ხიხონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-23 | 15 |
| 16.მალაგა | 15 | 3 | 5 | 7 | 9-14 | 14 |
| 17.გრანადა | 15 | 3 | 5 | 7 | 17-25 | 14 |
| 18.რაიო | 15 | 4 | 2 | 9 | 16-27 | 14 |
| 19.ლას პალმასი | 15 | 3 | 4 | 8 | 12-22 | 13 |
| 20.ლევანტე | 15 | 2 | 5 | 8 | 12-27 | 11 |

**გერმანია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.12 | აინტრახტი-ვერდერი | 2.05 | 3.6 | 3.2 |
| 19.12 | ინგოლშტადი-ლევერკუზენი | 4.8 | 3.6 | 1.75 |
| 19.12 | კიოლნი-დორტმუნდი | 7.0 | 4.5 | 1.4 |
| 19.12 | ჰამბურგი-აუგსბურგი | 2.25 | 3.2 | 3.1 |
| 19.12 | ჰანოვერი-ბაიერნი | 17.0 | 7.5 | 1.12 |
| 19.12 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 3.25 | 3.6 | 2.1 |
| 20.12 | ჰერტა-მაინცი | 2.15 | 3.25 | 3.25 |
| 20.12 | გლადბახი-დარმშტადი | 1.5 | 4.0 | 6.0 |

**აინტრახტი-ვერდერი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-იოანეს ფლუმი, ლუკ კასტაინოსი

ვერდერი: ***ტრავმ***-ზლატკო იუნუზოვიჩი, არონ იოჰანსონი

**ინგოლშტადი-ლევერკუზენი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-მარკუს სუტერი, კონსტანტინ ენგელი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ლარს ბენდერი, ტინ იედვაი

**კიოლნი-დორტმუნდი**

კიოლნი: ***ტრავმ***-ლეონარდო ბუტერკურტი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ილკაი გუნდოგანი, ნური შაჰინი

**ჰამბურგი-აუგსბურგი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ანდრეას ჰირცელი, კლებერი, გოიკო კაჩარი, ნიკოლაი მიულერი, ალბინ ეკდალი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ტობიას ვერნერი

**ჰანოვერი-ბაიერნი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-არტურ სობიეხი, უფე ბეხი, ფელიქს კლაუსი, ჰიროში კიოკატე

ბაიერნი: ***ტრავმ***-ფრენკ რიბერი, მეჰდი ბენატია, არიენ რობენი, დავიდ ალაბა, დუგლას კოსტა, მარიო გიოტცე, ხუან ბერნატი

**შტუტგარტი-ვოლფსბურგი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-დანიელ დიდავი, ფლორიან კლეინი, მარტინ ჰარნიკი, დანიელ გინცეკი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ლუის გუსტავო, რიკარდო როდრიგესი

**ჰერტა-მაინცი**

ჰერტა: ***ტრავმ***-რონი, თოლგა, ნიკლას შტარკი, ტომას კრაფტი, პეტერ პეკარიკი

მაინცი: ***ტრავმ***-ლეონ ბალოუნი

**გლადბახი-დარმშტადი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ალვარო დომინგესი, ანდრე ჰანი, ნიკო შულცი, პატრიკ ჰერმანი, მარტინ შტრანცლი

დარმშტადი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 16 | 14 | 1 | 1 | 45-8 | 43 |
| 2.დორტმუნდი | 16 | 12 | 2 | 2 | 46-21 | 38 |
| 3.ჰერტა | 16 | 9 | 2 | 5 | 24-18 | 29 |
| 4.ვოლფსბურგი | 16 | 7 | 5 | 4 | 25-18 | 26 |
| 5.გლადბახი | 16 | 8 | 2 | 6 | 31-28 | 26 |
| 6.ლევერკუზენი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-20 | 24 |
| 7.მაინცი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-21 | 24 |
| 8.შალკე | 16 | 7 | 3 | 6 | 22-23 | 24 |
| 9.ჰამბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 19-22 | 22 |
| 10.კიოლნი | 16 | 5 | 6 | 5 | 16-20 | 21 |
| 11.ინგოლშტადტი | 16 | 5 | 5 | 6 | 11-17 | 20 |
| 12.დარმშტადტი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-23 | 18 |
| 13.აუგსბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-26 | 16 |
| 14.ვერდერი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-30 | 15 |
| 15.აინტრახტი | 16 | 3 | 5 | 8 | 19-27 | 14 |
| 16.ჰანოვერი | 16 | 4 | 2 | 10 | 18-28 | 14 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 16 | 2 | 7 | 7 | 17-24 | 13 |
| 18.შტუტგარტი | 16 | 3 | 3 | 10 | 19-36 | 12 |

**იტალია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.12 | ბოლონია-ემპოლი | 2.37 | 3.0 | 3.25 |
| 20.12 | კარპი-იუვენტუსი | 9.5 | 4.2 | 1.4 |
| 20.12 | ატალანტა-ნაპოლი | 5.0 | 3.8 | 1.67 |
| 20.12 | რომა-ჯენოა | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 20.12 | ფიორენტინა-კიევო | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 20.12 | ვერონა-სასუოლო | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 20.12 | სამპდორია-პალერმო | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 20.12 | ტორინო-უდინეზე | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 20.12 | ფროზინონე-მილანი | 4.75 | 3.6 | 1.75 |
| 20.12 | ინტერი-ლაციო | 1.75 | 3.6 | 4.75 |

**ბოლონია-ემპოლი**

ბოლონია: ***ტრავმ***-ლუკა რიცო, ემანუელ გიაჩერინი, დომენიკო მაიეტა, ემილ კრაფტი; ***დისკვ***-ამადოუ დიავარა

ემპოლი: ***ტრავმ***-ლევან მჭედლიძე, რადე კრუნიჩი

**კარპი-იუვენტუსი**

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი, მატე ფედელე

იუვენტუსი: ***ტრავმ***-რობერტო პერეირა

**ატალანტა-ნაპოლი**

ატალანტა: ***ტრავმ***-მაურისიო პინილია, კარლოს კარმონა; ***დისკვ***-იასმინ კურტიჩი, ნიკოლო ჩებურინი

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**რომა-ჯენოა**

რომა: ***ტრავმ***-ვასილიოს ტოროსიდისი, ფრანჩესკო ტოტი, კევინ სტროოტმანი

ჯენოა: ***ტრავმ***-ჯოვანი მარკეზე; ***დისკვ***-დიეგო პეროტი, ლეონარდო პავოლეტი

**ფიორენტინა-კიევო**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-იაკუბ ბლაჩიკოვსკი

კიევო: ***ტრავმ***-ფედერიკო მატიელო

**ვერონა-სასუოლო**

ვერონა: ***ტრავმ***-სამუელ სოპრაიენი, ხუანიტო, მიქელანჯელო ალბერტაზი, რომულო; ***დისკვ***-ეროს პისანო

სასუოლო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-დომენიკო ბერარდი

**სამპდორია-პალერმო**

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ერვინ ზუკანოვიჩი

პალერმო: ***ტრავმ***-ფაბიო დაპრელა, ენცო მარესკა, ლუკა რიგონი, რობერტო ვიტიელო

**ტორინო-უდინეზე**

ტორინო: ***ტრავმ***-მარკო ბენასი, ჯოელ ობი, ნიკოლა მაკსიმოვიჩი; ***დისკვ***-ბრუნო პერესი

უდინეზე: ***ტრავმ***-დუვან ზაპატა, ალექსანდერ მერკელი

**ფროზინონე-მილანი**

ფროზინონე: ***ტრავმ***-ალეანდრო როსი

მილანი: ***ტრავმ***-დიეგო ლოპესი, ჯერემი მენეზი; ***დისკვ***-ნაიჯელ დე იონგი, იურაი კუჩკა

**ინტერი-ლაციო**

ინტერი: ***ტრავმ***-ნემანია ვიდიჩი

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარკეტი, რიკარდო კიშნა, სენად ლულიჩი, შტეფან დე ვრეი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 22-9 | 36 |
| 2.ფიორენტინა | 16 | 10 | 2 | 4 | 31-15 | 32 |
| 3.ნაპოლი | 16 | 9 | 5 | 2 | 28-12 | 32 |
| 4.იუვენტუსი | 16 | 9 | 3 | 4 | 25-12 | 30 |
| 5.რომა | 16 | 8 | 5 | 3 | 30-18 | 29 |
| 6.სასუოლო | 15 | 7 | 5 | 3 | 19-14 | 26 |
| 7.მილანი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-19 | 25 |
| 8.ატალანტა | 16 | 7 | 3 | 6 | 18-16 | 24 |
| 9.ემპოლი | 16 | 7 | 3 | 6 | 20-20 | 24 |
| 10.კიევო | 16 | 6 | 4 | 6 | 21-16 | 22 |
| 11.ტორინო | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 12.ლაციო | 16 | 6 | 2 | 8 | 18-25 | 20 |
| 13.ბოლონია | 16 | 6 | 1 | 9 | 17-21 | 19 |
| 14.პალერმო | 16 | 5 | 3 | 8 | 17-24 | 18 |
| 15.უდინეზე | 16 | 5 | 3 | 8 | 14-24 | 18 |
| 16.სამპდორია | 16 | 4 | 5 | 7 | 22-26 | 17 |
| 17.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 15-21 | 16 |
| 18.ფროზინონე | 16 | 4 | 2 | 10 | 15-30 | 14 |
| 19.კარპი | 16 | 2 | 4 | 10 | 13-30 | 10 |
| 20.ვერონა | 16 | 0 | 7 | 9 | 11-26 | 7 |

**საფრანგეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.12 | კაენი-პსჟ | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 19.12 | ლორიანი-ნანტი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 19.12 | ტრუა-მონაკო | 4.0 | 3.4 | 1.95 |
| 19.12 | გენგამი-რენი | 2.5 | 2.9 | 3.2 |
| 19.12 | ბასტია-რეიმსი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 19.12 | ტულუზა-ლილი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 20.12 | სტ.ეტიენი-ანჟე | 1.91 | 3.2 | 4.5 |
| 20.12 | გაზელეკი-ლიონი | 3.4 | 3.3 | 2.15 |
| 20.12 | ბორდო-მარსელი | 2.75 | 3.2 | 2.6 |

**კაენი-პსჟ**

კაენი: ***ტრავმ***-ჯორდან ლებორნე

პსჟ: ***ტრავმ***-ხავიერ პასტორე

**ლორიანი-ნანტი**

ლორიანი: ***ტრავმ***-მორიკე ფოფანა, ვესლი ლაუტოა, რაფიდინე აბდულა

ნანტი: ***ტრავმ***-კოლბეინ სიტორსონი, იასინ ბამო, ბირამა ტურე, ვილფრედ მოიმბე, ვალენტინ რონიე

**ტრუა-მონაკო**

ტრუა: ***ტრავმ***-მორი კონე

მონაკო: ***ტრავმ***-გუიდო კარილო, ანდრეა რაგი, ფაბიო კოენტრაუ, ადამა ტრაორე, ივან კავალიერო, ფარეს ბალული

**გენგამი-რენი**

გენგამი: ***ტრავმ***-ჯიმი ბრიანდი, ლიონელ მატისი, დორიან ლევო, მაქსინ ბაკა

რენი: ***ტრავმ***-პოლ-ჯორჯ ნტეპი, ფალოუ დიანე, აბდულაიე დაკური

**ბასტია-რეიმსი**

ბასტია: ***ტრავმ***-იესპერ ჰანსენი, ფრანსუა კამანო, კრისტიფერ მაბულუ, ალექსანდე ჯიკუ

რეიმსი: ***ტრავმ***-კოსი აგასა, ჰუგო როდრიგესი, ანტუან კონტე

**ტულუზა-ლილი**

ტულუზა: ***ტრავმ***-მარტინ ბრაითვაითი

ლილი: ***ტრავმ***-მაიკ მაინანი, ალექსის არაუო, მარკო ბასა

**სტ.ეტიენი-ანჟე**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ფრანსუა კლერკი, რობერტ ბერიჩი, კევინ ტეოფილე

ანჟე: ***ტრავმ***-სლიმანე სისოკო, ფერებორი დორე

**გაზელეკი-ლიონი**

გაზელეკი: ***ტრავმ***-ჟულის გოდა, პაბლო მარტინესი, გრეგუარ პუიოლი

ლიონი: ***ტრავმ***-მეტიუ ვალბუენა, მილან ბიშევაჩი, ალექსანდერ ლაკაზეტი, კრისტოფერ ჟალე, ალდო კალულუ, ნაბილ ფეკირი

**ბორდო-მარსელი**

ბორდო: ***ტრავმ***-მილან გაიჩი, ნიკოლას პალოისი, კლემენტ ჩანტომე, ადამ უნასი, ტომას ტურე, ლამინე სანე, პაბლო, გრეგუარ სერტიჩი

მარსელი: ***ტრავმ***-რომან ალესანდრინი, პაოლო დი ჩელიე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 18 | 15 | 3 | 0 | 45-9 | 48 |
| 2.ანჟე | 18 | 8 | 7 | 3 | 17-10 | 31 |
| 3.მონაკო | 18 | 8 | 7 | 3 | 25-23 | 31 |
| 4.კაენი | 18 | 9 | 3 | 6 | 21-19 | 30 |
| 5.ნიცა | 18 | 7 | 5 | 6 | 31-23 | 26 |
| 6.ლიონი | 18 | 7 | 5 | 6 | 22-21 | 26 |
| 7.სტ.ეტიენი | 18 | 8 | 2 | 8 | 21-22 | 26 |
| 8.ლორიანი | 18 | 6 | 7 | 5 | 27-26 | 25 |
| 9.მარსელი | 18 | 6 | 6 | 6 | 27-20 | 24 |
| 10.რენი | 18 | 5 | 9 | 4 | 23-21 | 24 |
| 11.ლილი | 18 | 5 | 8 | 5 | 14-12 | 23 |
| 12.ნანტი | 18 | 6 | 5 | 7 | 14-17 | 23 |
| 13.მონპელიე | 18 | 6 | 4 | 8 | 22-24 | 22 |
| 14.ბორდო | 18 | 5 | 7 | 6 | 22-27 | 22 |
| 15.რეიმსი | 18 | 5 | 6 | 7 | 19-22 | 21 |
| 16.გაზელეკი | 18 | 5 | 6 | 7 | 18-21 | 21 |
| 17.ბასტია | 18 | 5 | 4 | 9 | 18-24 | 19 |
| 18.გენგამი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-25 | 19 |
| 19.ტულუზა | 18 | 3 | 7 | 8 | 20-32 | 16 |
| 20.ტრუა | 18 | 0 | 7 | 11 | 10-35 | 7 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ორშაბათი 21 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დიზაინი" 14.05 მხ/ფ **"სასახლის არომატები"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01, 02.45 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "კომუნიკატორი" 00.10 მხ/ფ **"სამხრეთული ამბები"**

08.00 დ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" 09.00 მხ/ფ **"მტირალა"** (ჯ.დეპი) 10.30 დ/ფ "ირლანდია" 11.00 ქართ. მხ/ფ **"ხევსურული ბალადა"** 12.30 დ/ფ "ინდოეთი" 13.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 მხ/ფ **"ვალენტინო"** (ა.მოლინა) 2 სერ. 01.40 მხ/ფ **"რედი"** (ე.მირენი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნიჭიერი (პირდაპირი) 00.00 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი-ეფრემი 06.45 ქართული ალბომი 07.10 დ/ფ "ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "არსენას ლექსი" II ნაწ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას 17.20 კონცერტი 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 დ/ფ "ხომლი-ფშავ-ხევსურეთი" I 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 საუკუნის პორტრეტები-კირიონ II 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუჩები და გუნები"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.00 სერ. **"ტატიანა"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 17.05, 2.20 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ბერძენი ქალი"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"მუხოსავი-2"**

## სამშაბათი 22 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "ფოტო" 14.05 მხ/ფ **"ქრისტი დაბრუნება ქათერ გეფში"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 მხ/ფ **"შიშის კონცხი"** (გ.პეკი) 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"ვაი დედიკო!"**

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "ინკების მარილი" 13.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 Voice - საქართველო 00.00 ილო ბეროშვილის შოუ 01.00 მხ/ფ **"ღამე მშვიდობისა" მთვარევ"** (ქ.პანაბეიქერი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 საქართველოს ქალაქები "ბორჯომი" 11.10 თაობა ზეტი 11.30 გამოყენებითი ხელოვნება "მეფეთა ფუფუნება, მარიონეტები–ირმა ქააძე" 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 საუკუნის პორტრეტები- კირიონ II 16.20 მგზავრები წუთისოფლისა "ფშავი– მაღაროსკარი, ჩარგალი 17.10 დ/ფ "უგვირგვინო მეფე" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-"გორი" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუჩები და გუნები"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.30 სერ. **"ტატიანა"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.05 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 17.05, 2.15 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ბერძენი ქალი"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"მუხოსავი-2"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## ოთხშაბათი 23 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "ფოტო" 14.05 მხ/ფ **"კონკორდი 79"** (ა.დელონი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 მხ/ფ **"კიდევ ერთი წელი"** 00.00 "კომუნიკატორი" 01.50 მხ/ფ **"სასიკვდილო რბოლა-2"**

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ **"და აი" ისიც"** (დ. კიტონი) 02.25 მხ/ფ **"რა იქნებოდა"** (პ.ნიკოლსი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ბავშვები მუზეუმში 11.30 დ/ფ "წინანდლის სასახლე" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ისტორიის გაკვეთილი 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "დუმფარა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დ/ფ "ველური ბუნება-გრძელცხვირა მაიმუნის საიდუმლო სამყარო" 16.20 კონცერტი 17.00 დ/ფ "წმინდა სერაფიმე საროველის სავანეში" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.00 სიახლენი 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.30 დ/ფ "ვარდისფერი კაცი" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუჩები და გუნები"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.30 სერ. **"ტატიანა"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "მონიტორი" 16.05 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 17.05, 2.15 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ბერძენი ქალი"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"მუხოსავი-2"**

## ხუთშაბათი 24 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ **"არჩევანი"** (ჟ.ბისე) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "ინტერვიუ – სალომე ასათიანთან ერთად 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 მხ/ფ **"ბერძენი მაგნატი"** (ჟ.ბისე) 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"სხვისი სიკეთისთვის"** (ე.ნორეგა)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ლანსის ლუვრი-დროის გალერეა" 13.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 ერთხელ საქართველოში 00.30 მხ/ფ **"საშობაო ამბავი"** (პ.უოქერი) 02.30 მხ/ფ **"რა იქნებოდა"** (პ.ნიკოლსი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.15 ჩვენი ფონდი 06.40 პატერიკი-ვერცხლის მოყვარეობით შეპყრობილის განკურნება 06.50 დეკორატიული ფლორა "ორქიდეა" 07.05 ქართული ალბომი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე (ნანა ჩაჩუა) 16.10 პატრიარქი ლონდონში-ქართული სულის თავშესაფარი ლონდონში 16.55 დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.20 პატრიარქი სტეფანწმინდის და ხევის ეპარქიაში 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 22.25 დ/ფ "ჩემო პატრიარქო" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუჩები და გუნები"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.30 სერ. **"ტატიანა"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 17.05, 2.15 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ბერძენი ქალი"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"მუხოსავი-2"**

## პარასკევი 25 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.30 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ **"ოცნების მოედანი"** (კ.კოსტნერი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01, 22.00 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 საშობაო კონცერტი 23.30 "კომუნიკატორი" 00.40 მხ/ფ **"მოტყუებული"** (კ. ისტვუდი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40სერ. **"ორი ბედი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ **"სისხლით და ოფლით"** (დ.ჯონსონი) 01.40 მხ/ფ **"ბედს ვერ გაექცევი"** (ვ.ჰარილსონი) 03.25 მხ/ფ **"ახალშობილი"** (ს.მაკინტოში)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 22.50 ქერის უბანი 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "საქართველოისი-ილია II" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.00 დ/ფ "ფიქრები წარსულსა და მომავალზე-ილია II" 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 მსოფლიო ხალხთა ზღაპრები 15.40 პატრიარქის აღსაყდრების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი 16.35 მიწათმოქმედი "ჰიდროიზოლაცია" 17.00 დ/ფ "წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილებთან" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" IV ფილმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი სპირიდონ ტრიმიფუნტელი" 00.35 დ/ფ "სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი-ილია II" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. **"სხვისი სხეული"** 11.05 სერ. **"ქუჩები და გუნები"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 1.30 სერ. **"ტატიანა"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.05 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 17.05, 2.15 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ბერძენი ქალი"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. **"სხვისი ცხოვრება"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. **"მუხოსავი-2"**

## შაბათი 26 დეკემბერი

08.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.00, 00.40 მოამბე 08.10 ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" 09.30 მხ/ფ **"რთული ბავშვი"** 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.15 ქართ. მხ/ფ **"ვედრება"** 13.30 მხ/ფ **"გრაფინია ჰონკონგიდან"** (მ.ბრანდო) 16.10 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.00 "გურმანია" 17.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 18.00 "ფერმა" 18.30 კონცერტი: "ერისიონი" 20.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 21.00 "ტრანსმისია" 21.30 "წითელი ზონა" 22.30 "ბრაუზერი" 22.45 მხ/ფ **"ამაოების ბაზარი** 01.10 მხ/ფ **"მამაჩემის ექვსი ცოლი"** 02.50 "ტელებლოგი"

08.00, 10.10, 16.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 დ/ფ "წელიწადის დროების ფენომენი" – ვივალდი 13.00 მხ/ფ **"მაკარტური"** 15.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 17.00 "სუპერ-ეგო" 18.00 დ/ფ "ჩემი პატარა საწარმო - მიკროკრედიტი ევროპაში" 19.00 "ეპიცენტრი" 20.00 "ჩვენი პარლამენტი" 20.30 მხ/ფ **"საით მივყავართ ოცნებებს"** (რ.უილიამსი) 22.25 ტ/სერ. **"ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი"** 23.20 მხ/ფ **"დანტეს პიკი"**

06.30 სერ. **"ორი ბედი"** 08.00 სერ. **"სინდბადი"** 6 სერ. 09.00 მხ/ფ **"ქარიშხლის მაცნეები"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 11.15 იმედის გმირები 11.35 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45 სერ. **"პატარძალი"** 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.00 ქრონიკის სტუდია 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4"** 23.00 მხ/ფ **"მსროლელი"** 01.20 მხ/ფ **"ჟიგოლოს ნიღბის ქვეშ"** (ვ.პარადი) 02.50 მხ/ფ **"სისხლით და ოფლით"** (დ.ჯონსონი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 კომედი შოუ 15.30 ნიჭიერი 18.30 იღბლიანი ბორბალი 19.30 გააცინე და მოიგე 21.00 კურიერი - გაზუნია 22.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.30 რა? სად? როდის? 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ღვთის სახლი 06.40 თბილისის ტაძრები "სიონი" 06.50 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" IV ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35 სიახლენი 10.35 დ/ფ "ვახტანგ VI" 10.50 კვირიაკე 11.00 გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი–ირინა რავნინენკო" 12.10 მხ/ფ **"მობი დიკი"** III სერ. 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 თაობა ზეტი 16.40 დ/ფ "ველური ბუნება-წყლისგან გადარჩენილები" 17.20 გაცოცხლებული წარსული "შავნაბადა" 18.10 დ/ფ "ნამოხვანი ჰესი" 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" 19.35 ქართული ალბომი 20.00 ქრისტიანული ხელოვნება 20.50 სიბრძნისმეტყველება 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების სალონი 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფსალმუნი 23.15 დ/ფ "ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი" 00.05 დროის ჩანაწერები 01.45 მხ/ფ **"გლადიატორი"** I ნაწ.

მაესტრო 7.00, 10.00, 14.00, 18.00, 19.00, 23.30, 1.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 8.30 დოკ/სერ. "ბარტ ვულფი" 9.30 სერ. **"მონანიება"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00, 2.00 სერ. **"ცოდვილი სისხლი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "თეკუნას კულინარიუმი" 13.00 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 16.00 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 17.00 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.30 დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" 19.05 სერ. **"ბერძენი ქალი"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.40 სერ. **"სხვისი ცხოვრება"** 21.30 თოქ-შოუ "SWAT-ანალიზი" 22.30 სერ. **"დამიბრუნე სიყვარული"** 0.00 მხ/ფ **"ჭირვეულის მორჯულება"**

## კვირა 27 დეკემბერი

08.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 08.10 ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" 09.30 მხ/ფ "საიდუმლო ბაღში დაბრუნება" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.15 ქართ. მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** 14.05 მხ/ფ **"ჯუნიორი"** 16.10 "ვაშინგტონი დღეს" 16.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 17.00 "გურმანია" 17.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 18.00 მხ/ფ **"ამერიკის პრეზიდენტი"** (მ.დუგლასი) 20.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.10 "უცნობი მუსიკა" 22.40 "ბრაუზერი" 23.00 მხ/ფ **"ღარიბი მილიონერი"** 01.10 მხ/ფ **"თაფლაკვერის კაცუნა"**

08.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" 10.00 მხ/ფ **"დიდი მსუქანი მატყუარა"** 11.30 დ/ფ "ახალი ზელანდია" 12.00 დ/ფ "ჩემი პატარა საწარმო - მიკროკრედიტი ევროპაში" 13.00 ქართ. მხ/ფ **"ლაზარეს თავგადავალი"** 14.10 დ/ფ "საბერძნეთი - ათენი" 14.40 მხ/ფ **"შორს"** (ნ.კიდმანი) 17.00 "აფხაზეთი" 18.00 მხ/ფ **"აპოლო 13"** (ტ.ჰენქსი) 20.15 მხ/ფ **"ჯეინ ეარი"** 22.10 ტ/სერ. **"ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი"** 23.00 მხ/ფ **"მოულოდნელი ორსულობა"** (კ.ჰაიგლი)

06.30, 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 08.00 სერ. **"სინდბადი"** 7 სერ. 09.00 მხ/ფ **"მზარეული ბიჭის თავგადასავალი"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4"** 13.00 სტუმრად იუმორინასთან 17.35VOICE- საქართველო 19.30 რისკფაქტორი 20.30 ილო ბეროშვილის შოუ 21.30 ერთხელ საქართველოში 22.00 იმედის გმირები 00.00 მხ/ფ **"ჭექა – ქუხილის დღეები"** (ნ.კიდმანი) 02.00 მხ/ფ **"მსროლელი"** (მ.პენია)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 09.30 ქ.მხ/ფ 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 13.30 იღბლიანი ბორბალი 14.30 ქერის უბანი 15.30 მარაო 18.30 ექიმები 20.00 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.20 დ/ფ "ველური ბუნება-ავსტრალია" 06.50 დოკ.ფილმი "ფშავხევსურეთი, მთიულეთი" 07.30 მულტ.ფილმი "ბოლტო" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 11.20 სიბრძნისმეტყველება 11.30 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ **"მობი დიკი"** IV 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 მუს.პაუზა 15.55 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.40 ბავშვები მუზეუმში 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 მხ/ფ **"ხევისბერი გოჩა"** 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმეტყველო საუბარი 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ **"გლადიატორი"** II ნაწ.

მაესტრო 7.00, 10.00, 14.00, 18.00, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 8.30 დოკ/სერ. "ბარტ ვულფი" 9.30 სერ. **"მონანიება"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00, 1.00 სერ. **"ცოდვილი სისხლი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "თეკუნას კულინარიუმი" 13.00, 16.00 სერ. **"ჩვენ გვერდით"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 17.00, 2.00 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი" 18.30 დ/ფ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" 19.00 სერ. **"ბერძენი ქალი"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.30 სერ. **"დამიბრუნე სიყვარული"** 23.00 მხ/ფ **"სამოქალაქო მრჩეველი"**

# რობერტ ბარძიმაშვილის იუბილეს ხელოვნების სასახლე უმასპინძლებს



2015 რობერტ ბარძიმაშვილის საიუბილეო წელია. მას 80 წელი შეუსრულდებოდა. 20 დეკემბერს ხელოვნების სასახლეში ხელოვანის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება. მუზეუმის უკვდავთა ბაღში დაიდგმება რობერტ ბარძიმაშვილის ბიუსტი, გაიმართება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ალბომის პრეზენტაცია, რომელსაც ერთვის სიდი.

რობერტ ბარძიმაშვილს გაიხსენებენ მისი მეგობრები, ცნობილი მუსიკოსები. ეკრანზე ნაჩვენები იქნება უნიკალური ვიდეო და ფოტომასალა.

განუზომლად დიდია საქართველოს სახალხო არტისტის, ღირსების ორდენის კავალერ რობერტ ბარძიმაშვილის ღვაწლი ქართულ საესტრადო ხელოვნებაში.

რობერტ ბარძიმაშვილი ინტერესების ძალზე ფართო სპექტრს ფლობდა. მას ჰქონდა საოცარი ინტუიცია და დროის შეგრძნება. მან აღმოაჩინა და გზა გაუკვალა შემდგომში უკვე საყოველთაოდ ცნობილ კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს.

უცხო ენათა ინსტიტუტში მან ჩამოაყალიბა ანსამბლი „ორერა“. იგი იყო პირველი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი მთელ საბჭოთა კავშირში, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. მათ წარმატებული გასტროლები ჰქონდათ და მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტი შემოიარეს.

*ეკა ირემაშვილი*

# ლიკა შუბითიძე „გრემიზე“ მოხვდა

*ეკა ირემაშვილი*



ქართველი მომღერალი ლიკა შუბითიძე გრემიზე მოხვდა. ლიკა წლებია მეუღლესთან და შვილთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს. ის საქართველოში სხვადასხვა მუსიკალური კონკურსით გაიცნო მსმენელმა. ბოლოს ლიკა საქართველოში „იქს ფაქტორის“ მეორე სეზონში მონაწილეობისთვის დაბრუნდა და შვილიც აქ გააჩინა.

ლიკას საშუალება მიეცა, ყველასთვის საოცნებო მუსიკალური მოვლენის გრემის კონკურსში მიეღო მონაწილეობა, რადგან მას დაუოკებელი მიდრეკილება აქვს კონკურსების მიმართ.

**ლიკა შუბითიძე:**

— კონკურსებისადმი ჩემი დაუოკებელი მიდრეკილების შედეგად გამოვქექე გრემის ონლაინ კონკურსი და, რა თქმა უნდა, გავწევრიანდი ჩემი სიმღერით.

ჩემი კონკურსში გამარჯვებისთვის საჭირო იყო მხოლოდ სიმღერის მოსმენა და სოციალურ ქსელში გაზიარება, მაგრამ დამაგვიანდა კონკურსში ჩართვა და გამარჯვებულებს მიღმა აღმოვჩნდი.

რაც მეტი ადამიანი მოისმენდა და გააზიარებდა შენს სიმღერას სოციალურ ქსელში, იმაზე იყო დამოკიდებული კონკურსანტის გამარჯვება. ძალიან კარგი პრიზებია გამარჯვებულებისთვის. სულ 3 ადამიანი იმარჯვებს და მათთვის დაწესებულია ტურნე, დიდ მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობა, ვიდეორგოლი და პროდიუსერებთან მუშაობა, რომლებსაც გრემი აქვთ მიღებული.

გრემის ონლაინკონკურსის პირველი ეტაპი ჩემთვის წარუმატებლად დასრულდა და ხმების მიცემა შეწყდა.

იმის გამო, რომ ამ კონკურსის შესახებ გვიან გავიგე და, შესაბამისად, გვიან გავწევრიანდი, ნახევარფინალში გადასასვლელად საჭირო ხმების დასაგროვებლად დრო არ აღმოჩნდა საკმარისი.

მიუხედავად ამისა, ჩემთვის დიდი სტიმულის მომცემი იყო ის დიდი მხარდაჭერა და სიყვარული, რომელიც მივიღე რიგითი ადამიანებისგან, რაც ნათლად მაჩვენებს, რომ გამარჯვების რეალური შესაძლებლობა გვაქვს.

სამწუხაროდ, დაგვაკლდა სულ რამდენიმე დღე. ულრმესი მადლობა ყველას, ვინც ასე აქტიურად დამიჭირა მხარი. ეს იყო მოსალოდნელზე ბევრად მეტი და გამარჯვებაზე უფრო მნიშვნელოვანი.

***— პირველი ქართველი ხართ, რომელიც ამ კონკურსში მონაწილეობს?***

— მგონი, მე ვარ პირველი ქართველი, რომელიც მონაწილეობას იღებს, თუმცა არ ვარ დარწმუნებული.

***— მომავალ წელს ისევ ჩაერთვებით ამ კონკურსში?***

— აუცილებლად. მომავალ წელს გრემის შემდეგ კონკურსში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას და გავიმარჯვებ თქვენთან ერთად.

# ვახუშტი კოტეტიშვილის უცნობი ლექსები გამოცემულია



პოეტის, ფოლკლორისტისა და მთარგმნელის ვახუშტი კოტეტიშვილი 80 წლის იუბილე ორდღიანი ღონისძიებებით აღინიშნა. საიუბილეო დღეების ფარგლებში გაიმართა ვახუშტი კოტეტიშვილის შემოქმედებითი საღამო და სონეტების კრებულის პრეზენტაცია. სონეტების სრული კრებული ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრების ბოლო წლების შემოქმედებას მოიცავს.

**გუგა კოტეტიშვილი,** *ვახუშტი კოტეტიშვილი შვილი:*

— გამოვიდა ვახუშტის კრებული, რომლის გამოცემაც თვითონაც ძალიან უნდოდა. მისი ბოლო ლექსებია მასში შეტანილი და ეს მოხდა ზუსტად ისე, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული.

საიუბილეო დღეების მეორე დღეს კი საზეიმოდ დაჯილდოვდნენ მოსწავლეთა კონკურსის „ვახუშტი კოტეტიშვილი — ჩემი წუთისოფელი“ გამარჯვებულები. გამარჯვებულების დაჯილდოების შემდეგ პოეტმა, მთარგმნელმა და აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ლობჟანიძემ უფროსკლასელებს ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საჯარო ლექცია ჩაუტარა.

*ეკა ირემაშვილი*

# მანანა დოიჯაშვილი პოლონური კულტურის ღირსების ორდენით დააჯილდოვეს



პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, მანანა დოიჯაშვილი, ცნობილი ქართველი პიანისტი, კონსერვატორიის ყოფილი რექტორი, ამჟამად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოადგილე, პოლონური კულტურის ღირსების ორდენით დააჯილდოეს, რომელიც წარმოადგენს პოლონეთის სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოს კულტურის სფეროში.

მანანა დოიჯაშვილს ჯილდო მიენიჭა პოლონურ კულტურაში შეტანილი წვლილისა და მისი პოპულარიზაციისთვის, ასევე ქართულ-პოლონური ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისთვის.

*ეკა ირემაშვილი*

# საქართველო ოსკარს მიღმა დარჩა

ოსკარის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ ფილმების მოკლე ნუსხა, რომლებიც კინოსამყაროს ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდოს მოსაპოვებლად ბრძოლას გააგრძელებენ.

ჩამონათვალში ვერ მოხვდა საქართველოდან წარდგენილი ლევან თუთბერიძის ფილმი „მოირა“. მოკლე ნუსხაში შეტანილია ის 9 ფილმი, რომლებიც ნომინაციაში საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი საუკეთესო ხუთეულში ადგილის დამკვიდრებას შეეცდებიან.

სხვადასხვა ქვეყნიდან წარდგენილი 80 ფილმიდან ამერიკული კინოაკადემიის ჯილდოს ორგანიზატორებმა ამ ნომინაციაში საუკეთესოდ მიიჩნიეს ბელგიის, კოლუმბიის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ირლანდიისა და იორდანიის ფილმები.

უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში მოსახვედრად ფილმები ორ ეტაპს გადიან. პირველ ჯერზე ოსკარის ორგანიზატორები 9 საუკეთესოს არჩევენ, შემდეგ ეტაპზე კი საფინალო ხუთს ასახელებენ. უკვე შერჩეული 9 ნამუშევრიდან 8-დან 10 იანვრამდე აკადემიის მიწვეული წევრები ნიუ იორკში სამ-სამ ფილმს ყოველდღე ნახავენ, ხოლო 14 იანვარს მათგან ხუთ რჩეულს დაასახელებენ, რომლებიც ოსკარის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

გასულ წელს საქართველომ ოსკარზე გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ წარადგინა. ფილმი საუკეთესო ხუთეულში ვერ მოხვდა, სამაგიეროდ, ხუთეულში დასახელდა ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, რომელიც ოსკარზე ესტონეთმა წარადგინა.

*ეკა ირემაშვილი*



ჩემს უმცროს ძმასა
და მეგობარს
***როლანდ ალექსანდრეს ძე მირცხულავას***
ვულოცავ წმინდა ბარბარეს
ხსენების დღესთან ერთად იუბილეს.
თავის ქალ-ვაჟთან ერთად
ვუსურვებ ჯანმრთელობასა და
მხნეობას, დიდი ხნის სიცოცხლეს.
*დაზმირ გელენავა*



# ასტროპროგნოზი



## 19 დეკემბრისთვის

**ვერძი** — ძალზე მძიმე დღეა. ეგოიზმი ადამიანებთან ურთიერთობაში ხელს გიშლით. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. **კურო** — ახალი საქმე იმ შემთხვევაშიც კი დაიწყეთ, თუ ის ნაკლებად პერსპექტიული გეჩვენებათ. იაქტიურეთ. კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. **ტყუპები** — თამამად იმოქმედეთ. ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ხელმძღვანელ პირებთან ახლო ურთიერთობას. **კირჩხიბი** — ნებისმიერ სფეროში წარმატებული იქნებით. მივლინებებისა და მოგზაურობისათვის შესანიშნავი დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** — ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ. უმჯობესია, თუ ძველს დაამთავრებთ. საღამოს მეტი დრო ოჯახის წევრებს დაუთმეთ. **ქალწული** — კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. **სასწორი** — ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა, რაც, შესაბამისად, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. ერიდეთ უსარგებლო კამათსა და საქმის გარჩევებს. **ღრიანკალი** — გსურთ, ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანოთ, ოღონდ არ აჩქარდეთ. მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. **მშვილდოსანი** — იყავით ოპტიმისტი. ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის მეშვეობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. გარისკვა რეკომენდებულია. **თხის რქა** — კრიტიკული დღეა, ბევრი რამ იცვლება. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **მერწყული** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **თევზები** — ფრთხილად და ყურადღებით იყავით. ეს დღე სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია.

## 20 დეკემბრისთვის

**ვერძი** — შემოთავაზებული წინადადებები მომხიბვლელად გამოიყურება. ენდეთ პარტნიორებს. საკმაოდ დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. აჩქარება არ ივარგებს. **კურო** — მონოტონურობა და ერთფეროვნება ახალი შთაბეჭდილებების მიღების სურვილს აღგიძრავთ. დაიცავით ზომიერება. თქვენს ხელთ არსებული რესურსები გონივრულად გამოიყენეთ. **ტყუპები** — მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. აქტიური დასვენება თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. **კირჩხიბი** — ცოდნის მიღებისადმი სწრაფვა გიძლიერდებათ. შესანიშნავი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **ლომი** — მიზნის მიღწევა არ გაგიჭირდებათ. ნებისმიერი საქმე გამოგდით. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **ქალწული** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით და ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ. შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **სასწორი** — პასიური, მძიმე დღეა. ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაო გელით. მოსალოდნელია აგრესია ოპონენტებისა და არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან. **ღრიანკალი** — თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობა და მოვლენების საღად აღქმის უნარი ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში გეხმარებათ. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. აუცილებლად გჭირდებათ განმარტოება. კომფორტულად თავს მხოლოდ ბავშვებთან ურთიერთობისას იგრძნობთ. **თხის რქა** — არავითარ შემთხვევაში არ გარისკოთ. მძიმე დღეა. წარუმატებლობებს დილიდანვე ელოდეთ. მაცდური წინადადებით მოგმართავენ, რომელსაც არ უნდა დათანხმდეთ. **მერწყული** — არავის მიენდოთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება და წინდახედულობა გამოიჩინეთ. **თევზები** — ფილოსოფიურად აზროვნებთ. ენერგიულობა და მიზანდასახულობა თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. გელით საინტერესო მოგზაურობა და სასიამოვნო ნაცნობობა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბრიტანული ტაქსი; 2. მარადმწვანე მცენარე; 3. სპორტული სასეირნო ნავი; 4. ფარისებრი ჯირკვლის დაავადება; 5. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 6. ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 8. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიის ნაწილი; 10. ესპანელი მწერალი; 11. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. დიდი, კაშკაშა მეტეორი; 15. აფხაზეთსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. მოწინააღმდეგის დაშინების ხერხი პოკერში; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. დროებით სხვასთან შეკედლებული პირი; 13. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 14. დიდი სარეკლამო სტენდი; 17. პატარა, ერთბინიანი მანსარდიანი სახლი; 18. რუსეთში მოღვაწე ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი; 19. იუმორისტული ფესტივალის ქალაქი ბულგარეთში; 20. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

**შეადგინა თ.კობალეიშვილმა**



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 დეკემბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3975

ევრო — 2.6185

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5977

100 რუსული რუბლი — 3.4157

**ამინდის პროგნოზი 19 დეკემბრისთვის**






## კალეიდოსკოპი

## ტაილანდელს მეფის ძაღლის შეურაცხყოფა ბრალდება



ტაილანდის მოქალაქე ტანაკორნ სირიპაიბუნს 37 წლამდე პატიმრობა ემუქრება მეფისა და მისი ძაღლის შეურაცხყოფისთვის. მან მეფესა და მის ძაღლზე სარკასტული შინაარსის შენიშვნა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

27 წლის ტაილანდელს ამბოხებისკენ მოწოდებისა და მეფის შეურაცხყოფის ბრალდება წაუყენეს. მისმა ადვოკატმა პავინი ჩუმსრიმ განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ვებგვერდზე 6 დეკემბერს იყო გამოქვეყნებული ჩანაწერი სამი სურათითა და მეფის ძაღლზე გამონათქვამით.

სირიპაიბუნი ბანგკოკის მეტროში დააკავეს ფეისბუქში გაშვებული სურათისთვის. ინფოგრაფიკი, რომელიც მან საკუთარ გვერდზე განათავსა, ხელისუფლების წარმომადგენლებს კორუფციაში ადანაშაულებდა.

## ბრიტანეთში ყველაზე დიდი საშობაო სადილი დაამზადეს



ბრიტანულმა პაბმა გეორგ ინნმა დაამზადა საშობაო სადილი, რომლის წონა 9 კილოგრამს აღემატება და ის ახალი მსოფლიო მიღწევაა. ადრინდელი რეკორდსმენის წონა დაახლოებით 4 კილოგრამი იყო.

ქალაქ სტოკტონ-ონ-ტისში მდებარე პაბის მიერ დამზადებულ სადილში შედის ინდაურის ხორცი, კარტოფილი, სტაფილო, ბროკოლი, კომბოსტო და სხვა ინგრედიენტები, ასევე ამ კერძს თან ახლავს პიტნისა და წითელი მოცხარის სოუსები.

ბლოგერმა ადამ ბარანმა ცადა, სარეკორდო წონის საშობაო სადილი დაეგემოვნებინა, მაგრამ მისი ბოლომდე შეჭმა ვერ შეძლო. მისმა ნარჩენმა 3,6 კილოგრამი შეადგინა. თავად ბლოგერის თქმით, იგი ფიქრობს, რომ ინდაურის არათუ ჭამა, დანახვაც კი აღარასოდეს მოუნდება.

## „ვარსკვლავური ომების“ პორნოს გაყიდვა 500 პროცენტით გაიზარდა



ფილმ „ვარსკვლავური ომების“ პაროდიული პორნოგრაფიული ვარიანტის დივიდი ფირფიტებზე ჩაწერილი სურათების გაყიდვა 500 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა კოსმოსური საგის ახალი ფილმის მიმართ დაინტერესების ზრდის ფონზე მოხდა.

იმ პორტალის ხელმძღვანელის, რომელიც პორნოგრაფიის გაყიდვითაა დაკავებული, ჯეფ დილონის თქმით, ფილმით დაინტერესების მატება ჯერ კიდევ ნოემბერში შეინიშნებოდა და პიკს ბოლო ორ კვირაში მიაღწია.

– ეს აჟიოტაჟი ბრენდის „ვარსკვლავური ომების“ ძალაზე მეტყველებს და ასევე მისი თაყვანისმცემლების არა მხოლოდ თავად ფილმით, არამედ მასთან დაკავშირებული პროდუქციითაც დაინტერესებაზე, – განაცხადა დილონმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ლევან კობიაშვილი: „ზუგდიდში პროვოკაცია მოაწყვეს“

## „ზუგდიდის აკადემია არ შედის უეფას პროექტში“

16 დეკემბერს ზუგდიდში დიდი ჩოჩქოლი იყო.

ამ დღეს სფფ-მ ფეხბურთის ზუგდიდის აკადემიის დახურვა გადაწყვიტა.

აკადემიაში მცხოვრები ბავშვების მშობლები სფფ-ის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს, გიორგი რევაზიშვილს, აკადემიის ბაზაზე დაუპირისპირდნენ.

გიორგი რევაზიშვილმა ბაიას ბაზა ნაადრევად დატოვა და ადგილობრივებთან კონფლიქტში არ შევიდა.

რევაზიშვილის განცხადებით, იმის ფონზე, რომ სფფ-ს მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვს, სეზონის დასრულების შემდეგ, მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რომ აკადემიის ბავშვებმა დამატებით ორი კვირა იცხოვრონ ბაზაზე.

ამ საკითხის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა მიხეილ მესხის სტადიონის მედია ცენტრში პრესკონფერენცია გამართეს.



ლევან კობიაშვილი:

– სამწუხაროა, რაც ზუგდიდში მოხდა. ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია ფეხბურთის ფედერაციის მიმართ. გიორგი რევაზიშვილს დაუპირისპირდნენ ისეთი ადამიანები, ვინც სტადიონზე ორჯერ არ ყოფილა.

კობიაშვილის თქმით, ზუგდიდში არსებული აკადემია არ შედის უეფას პროექტში. უეფამ გამოყო კონკრეტული თანხა, რომლითაც ფეხბურთის ფედერაციას ორი ასაკობრივი გუნდი უნდა შეენახა.

– ამ პროექტის ხელმძღვანელია ფრანგი ჟან ფრანსუა დომერგი, რომელმაც საერთოდ არ იცოდა ზუგდიდის აკადემიის არსებობის შესახებ. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოება ინფორმირებული არ ყოფილა, – ამბობს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

მისი თქმით, ფედერაცია აქამდე არასწორ ინფორმაციას ავრცელებდა და ამბობდა, რომ ზუგდიდის აკადემია იყო თბილისში არსებული აკადემიის ფილიალი, მაგრამ ასე არ არის. ეს დაიგეგმა კონკრეტული ადამიანების პირადი ინტერესიდან გამომდინარე.

– ეს აკადემია არ დაიშლება. დაწყებული გვაქვს მუშაობა რეორგანიზაციაზე, რომელიც მოიცავს რეგიონებში ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისა და შემდგომი მხარდაჭერის გრძელვადიან პროექტს, – აღნიშნავს ლევან კობიაშვილი.

სფფ-ს გენერალური მდივანი დავით მუჯირი ამბობს, რომ სფფ-ის წინა პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ, ფეხბურთის ფედერაციასთან 10 წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ფეხბურთის მმართველ ორგანოს მისი პირადი კომპანიისთვის 3 მილიონ ლარზე მეტის გადახდა მოუწევს.

– ჩვენ დავდექით ფაქტის წინაშე, რომ არსებობდა ე.წ. სფფ-ს აკადემიის ფილიალი. რეალურად კი უეფას მხრიდან გამოყოფილი იყო 200.000 ევრო და ეს უნდა დახარჯულიყო ორ ასაკობრივ გუნდზე, რომლებიც თბილისში არსებული აკადემიის ბაზაზეა. ფეხბურთის ფედერაცია საკუთარი ხარჯებით შეინახავს თუ არა ზუგდიდის ან სხვა რომელიმე აკადემიას, ეს მთლიანად ფედერაციის პრეროგატივაა, – აცხადებს დავით მუჯირი.

## რეზო ჩხიკვიშვილი გულშემატკივრებს შეხვდება



გერმანიაში მოღვაწე ქართველი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი გულშემატკივრებს შეხვდება. საქართველოში „ექვთიმეს“ გადაღებებზე ჩამოსული მსახიობი ერთგულ მაყურებელთან შეხვედრას რამდენიმე დღეში გამართავს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კინოკლუბი სემესტრული აქტივობის არაჩვეულებრივ და განუმეორებელ დახურვას რეზო ჩხიკვიშვილს მიუძღვნის:

– ჩვენთვის დიდი პატივია, ვუმასპინძლოთ გერმანიაში მოღვაწე ყველასათვის საყვარელ და პატივცემულ ქართველ მსახიობს რეზო ჩხიკვიშვილს.

გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა პირადად მოუსმინოთ მის საუბარს საკუთარი ცხოვრების გზის შესახებ, კარიერულ მიღწევებსა და ათასგვარ გამოცდილებაზე, საკუთარი თვალით დაინახოთ იგი, როგორც მსახიობი და მუსიკოსი, თავისი განუზომელი ნიჭით. თქვენ კი თავისუფლად შეძლებთ, დასვათ ყველა საინტერესო კითხვა და აქტიურად ჩაერთოთ შეხვედრის პროცესში ასევე გაიგებთ დეტალებს გადაღებების პროცესში მყოფ ფილმ „ექვთიმეს“ შესახებ, რომელშიც ბატონი რეზო მთავარ როლს ასრულებს.

შეხვედრას დაესწრება ფილმის რეჟისორი, პროდიუსერი და სცენარისტი ნიკოლოზ ხომასურიძე.

**ეკა ირემაშვილი**

## გურამ დოჩანაშვილი ახალი რომანის პრეზენტაციას გამართავს



19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღესასწაულზე, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ქართველი კლასიკოსი მწერალი გურამ დოჩანაშვილი თავისი ახალი წიგნის „ბრმადყოფილზე. და...“ პირველი ტომის პრეზენტაციას მოაწყობს. ავტორი თავად წარუდგენს საზოგადოებას სამტომეულის პირველ ნაწილს.

საღამოს პოეტი რატი ამაღლობელი გაუძღვება. მსურველებს წიგნის ადგილზე შეძენა და მწერლის ავტოგრაფის მიღება შეეძლებათ. გურამ დოჩანაშვილის წიგნის პრემიერაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

**ეკა ირემაშვილი**



## იუმორი

ცოლმა მეუღლის მიერ გადამალულ ფულს მიაგნო და სახლში დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:

– საიდან ამდენი ფული?

– შენთვის საჩუქრის საყიდლად ვაგროვებდი.

– მერე, ასე ცოტას?!

•••

იარაღის მაღაზიაში გაცოფებული სახით მამაკაცი შევარდა და გამყიდველს დაუყვირა:

– ჩქარა, თოფი მომეცი!

– თოფი? კი ბატონო, მაგრამ რისთვის გინდათ?

– სიდედრი უნდა მოვკლა, ყელში ამომივიდა უკვე!

– მომიტევეთ, მაგრამ, თუ თქვენ მართლა გსურთ სიდედრის მოკვლა, გირჩევთ, დაიცადოთ, დროებით გადადოთ ეგ განზრახვა.

– რატომ?

– დამშვიდება გჭირდებათ. ასეთ აღელვებულ მდგომარეობაში მყოფმა, ადვილი შესაძლებელია, მიზანს ააცილოთ.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, ცოლი მოგიყვანია, მართალია?

– ჰო, მასეა.

– კი მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ცოლის მოყვანის წინააღმდეგი იყავი და აზრი რამ შეგაცვლევინა?

– ბორდელებში სიარული აღარ მინდოდა.

– ახლა?

– ახლა მინდა!

•••

ბებია შვილიშვილს ეკითხება:

– კარტოფილს შეჭამ?

– კი, ბებო.

– წვნიანიც გავაცხელო?

– გააცხელე.

– წვენი კიდევ გინდა?

– ჰო, ცოტა დამიმატე.

– შვილო, როგორ მიყვარს, დაბოლილი რომ მოდიხარ ხოლმე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


